ადიგენის და წალკის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეკომიგრანტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი

(სიღრმისეული ინტერვიუების მიგნებები)

ოქტომბერი - ნოემბერი, 2024

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ადიგენის და წალკის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეკომიგრანტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი

(სიღრმისეული ინტერვიუების მიგნებები)

ოქტომბერი - ნოემბერი, 2024

თბილისი, 2025

კვლევაზე პასუხისმგებელი პირები: თამთა მიქელაძე, ლევან ტალახაძე

კვლევის ავტორი: ნათია კეკენაძე

ყდის ფოტო: დავით თამაზაშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნათია კეკენაძე: "ადიგენის და წალკის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეკომიგრანტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი - (სიღრმისეული ინტერვიუების მიგნებები), ოქტომბერი - ნოემბერი, 2024", 2025*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი *4*

2. კვლევის მეთოდოლოგია *8*

3.თეორიული ჩარჩო *12*

4. კვლევის მიგნებები *15*

4.1 ეკომიგრაცია წალკასა და ადიგენში 21

4.2 ეკომიგრანტთა პოლიტიკური და ეკონომიკური მონაწილეობის საკითხები წალკასა და ადიგენში 26

4.3 მიწის რეგისტრაცია და საკუთრების უფლება ეკომიგრანტებისთვის 32

4.4 ეკომიგრანტები საცხოვრებელი გარემო და სოციალური ინფრასტრუქტურა 38

4.5 თემთაშორისი თანაცხოვრების პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილებები 41

5. დასკვნა *50*

6. გამოყენებული ლიტერატურა: *53*

ფიგურების სარჩევი

ფიგურა 1.რესპონდენტთა რიცხვი და განაწილება 10

ფიგურა 2. შიდა მიგრაციის ისტორიული მიმოხილვა ეკომიგრანტთა კონტექსტში; 17

მადლობას ვუხდით მერი ჭელიძეს საველე სამუშაოებში გაწეული დახმარებისთვის. ასევე მადლობა კვლევის მონაწილე რესპონდენტებს, როგორც ღირებული ინფორმაციის გაზიარებისთვის, ისე დათმობილი დროითი და ემოციური რესურსისთვის.

1. შესავალი

გაეროს მონაცემებით, ბუნებრივი კატასტროფების შედეგად, მსოფლიოში ყოველწლიურად 25 მილიონზე მეტი ადამიანი იძულებით ტოვებს საკუთარ საცხოვრებელ ადგილს (McAuliffe & Triandafyllidou, 2022). საქართველოში 1988 წლიდან 2013 წლამდე ქვეყანაში არსებული რთული გარემო პირობების გამო, სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად (2013), 130,000-ზე მეტი ადამიანი გახდა იძულებული შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი. საქართველოში ამ პირებს „ეკოლოგიურ მიგრანტებად“ ან უფრო შემოკლებით „ეკო-მიგრანტებად“ მოიხსენიებენ. სტიქიურ მოვლენათა უარყოფითი მოქმედების არეალში ძირითადად სასოფლო დასახლებები ექცევა, ამდენად ეკო-მიგრანტების უმრავლესობაც სწორედ სოფლად მცხოვრები ადამიანები და საოჯახო მეურნეობები არიან. წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანი, ადიგენისა და წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აჭარელი, სვანი და რაჭველი ეკომიგრანტების სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების შესწავლაა. კვლევისას, განსაკუთრებული ყურადღება სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები აჭარიდან მიგრირებული ქართველი მუსლიმი თემის მდგომარეობას დაეთმო.

რთული მთიანი რელიეფისა და კლიმატური თავისებურებების გამო, საქართველო ბუნებრივი კატასტროფების მასშტაბურობითა და მათი ხშირი განმეორებადობით ხასიათდება. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, განსაკუთრებულ ინტენსივობას განიცდის ანთროპოგენური ჩარევით და ერთიანობაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენები. მიწის მოხმარების არამდგრადი პრაქტიკები, ტყეების გაჩეხვა, დაუგეგმავი ურბანიზაცია, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არასწორი დაგეგმვა, იმ წინაპირობათა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც მეწყრებს, წყალდიდობებს, ღვარცოფებს, ზვავებსა და გვალვებს იწვევს. ექსპერტების შეფასებით, წინარე ინდუსტრიულ დონესთან შედარებით, 2050 წლისთვის საქართველოში საშუალო ტემპერატურა 0,9°C – 1,9 °C-ით გაიზრდება (Government of Georgia, 2021). გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშებში აღნიშნულია, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული სტიქიურ მოვლენებს შორის არსებული

ინტერვალები მნიშვნელოვნად შემოკლებულია. რა თქმა უნდა, სტიქიურ მოვლენების აბსოლუტური პრევენცია შეუძლებელია, თუმცა, შესაძლებელია ამ სტიქიებთან დაკავშირებული რისკების მართვა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არამხოლოდ გარემოსდაცვითი, არამედ ადამიანური მსხვერპლის თავიდან აცილებისა და სავალალო სოციალური და ეკონომიკური შედეგების შემცირებისა და თავიდან არიდების თვალსაზრისითაც.

საერთაშორისო ნორმატიულ აქტებში „ეკო-მიგრაციის“ ნაცვლად ვხვდებით ტერმინებს: “environmental migration”, და „climate migration”, რაც აღნიშნავს მიგრაციას, რომელიც გამოწვეულია ისეთი გარემო ფაქტორებით, როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფები, კლიმატის ცვლილება, გვალვა, მეწყრები და ა.შ. 1980-იანი წლებიდან კლიმატის ცვლილებისა და მიგრაციის კავშირი თანდათანობით გახდა მეცნიერთა ინტერესის საგანი. კლიმატის ცვლილების ექსპერტთა მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) პირველ შეფასებით ანგარიშში (IPCC, 1990) აღნიშნული იყო, რომ *„კლიმატის ცვლილების ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება შესაძლოა ადამიანთა მიგრაცია იყოს”.* ამგვარად ჩამოყალიბდა ტერმინი climate migration. ამასთან, საერთაშორისო დისკუსიებში ტერმინ „ეკო-მიგრაციის“ გამოყენებისგან თავს იკავებენ იმ მიზეზითაც, რომ იგი ნეოლოგიზმად მიიჩნევა და შეიძლება აჩენდეს დაზუსტების საჭიროებას - ეკოლოგიურ მიგრაციაზე ვსაუბრობთ, თუ ეკონომიკურ მიგრაციაზე. საქართველოში, როგორც აკადემიურ, ისე საჯარო დისკუსიებში, „ეკო-მიგრაცია“ დამკვიდრებულ ტერმინად მიიჩნევა.

საქართველოში 2013 წელს შეიქმნა „სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ და „სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო დევნილთა და ეკომიგრანტთა საკითხების მიმართულებით“, 2019 წელს კი ამ ორი სააგენტოს გაერთიანებით (ბრძანება N01-109/n.2019 წლის 31 ოქტომბერი) შეიქმნა „სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“. მოქმედების არეალად სააგენტოს განესაზღვრა: ზარალის ფაქტის დადგენა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება; ეკომიგრანტთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სამართლებრივი ქმედების განხორციელება, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრავი ქონების შესყიდვა და დოკუმენტაციის წარმოება; ეკომიგრანტთა ერთიანი მონაცემთა ბაზების წარმოება და

ადმინისტრირება; საარსებო წყაროების შექმნა ეკომიგრანტთა სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინტეგრაციის მიზნით; მიზნობრივი პროექტების/პროგრამების შემუშავება, განხორციელება და შეფასება; ამ პროექტებისთვის ფინანსური რესურსების მოძიება და მართვა; ეკომიგრანტთა ჩართულობის ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამებში და მათი ინფორმირება იმ სახელმწიფო დაწესებულებების და საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებისა და პროგრამების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს საარსებო წყაროების შექმნასა და მიწოდებას; განათლებისა და გადამზადების კურსებში ეკომიგრანტთა ჩართულობის ხელშეწყობა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებაში ნათქვამია, რომ უნდა შემუშავდეს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა. სწორედ ამ მიზნების განხორციელებისთვის შეიქმნა 2019 წელს ახალი სტრუქტურული ერთეული „[სსიპ] დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ (Manvelidze, I., et all, 2024).

ასევე, ადგილობრივ თვითმმართველობებს ვალდებულება აქვთ მუნიციპალიტეტის მერებს პერიოდულად წარუდგინონ ინფორმაცია ეკომიგრანტთა რაოდენობისა და მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ („ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 42–ე მუხლის მე–4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი).

მანველიძის და სხვების კვლევაში აღნიშნულია, რომ ეკომიგრანტებს საქართველოს საგადასახადო კოდექსიც ითვალისწინებს. კერძოდ, კოდექსის 82-„ე“ მუხლის პირველი ნაწილის „მ“ პუნქტში აღნიშნულია, რომ „საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დაზიანებული ბინების სანაცვლოდ უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტებით დასახლებულ სხვა პუნქტში” (Manvelidze, I., et all, 2024).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული ეკომიგრანტების ოჯახების განსახლებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებზე „სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოა“ პასუხისმგებელი.

გასულ წლებში, შოვში, გურიასა და სხვა რეგიონებში მომხდარმა სტიქიებმა, კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავებისა და დახვეწის აუცილებლობა. ეს გულისხმობს როგორც უშუალოდ სტიქიის ადგილზე ინფრასტრუქტურის გაძლიერებასა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი და საარსებო პირობების შექმნას, ისე მდგრადი განსახლების პირობების უზრუნველყოფას, რაც ეკომიგრანტებისთვის მუდ-მივი საცხოვრებლის, საარსებო წყაროებისა და საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვ-დომობის უზრუნველყოფასა და ახალ გარემოში სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას გულისხმობს.

2. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანია, ადიგენისა და წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტების სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების შესწავლა კვლევის თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. როგორც უკვე აღინიშნა, კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამიზნე რეგიონებში მცხოვრებ აჭარიდან მიგრირებულ ქართველ მუსლიმ თემს.

კვლევის მიზნის მისაღწევად, შემდეგი ამოცანები განისაზღვრა:

[1] განსახლების პოლიტიკის შედეგებისა და სამიზნე ჯგუფების სოციალურ ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე წვდომის შესწავლა;

[2] სამიზნე ჯგუფების საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებისა და ბარიერების შეფასება;

[3] სამიზნე ჯგუფის განწყობებისა და დამოკიდებულებების შესწავლა ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ;

[4] თემთაშორისი თანაცხოვრების პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილებების, მათ შორის, კულტურული ინტეგრაციის შესაძლებლობების შესწავლა;

დასახული მიზნისა და ამოცანების შესასრულებლად, გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდები. პირველ რიგში, გაანალიზდა რელევანტური დარგობრივი მასალა, რაც მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურას ეკომიგრანტების განსახლების პოლიტიკისა და ინტეგრაციის მიმართულებით. განხილული იქნა, როგორც ისტორიული წყაროები, ისე სამეცნიერო კვლევები, სახელმწიფო დოკუმენტები, ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები, სტატისტიკური მონაცემები, ასევე ეკომიგრანტი ქართველი მუსლიმი თემის შესახებ კვლევები.

ემპირიული მონაცემები რამდენიმე ეტაპად შეგროვდა:

[1] გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია ადიგენსა და წალკაში მცხოვრები ეკომიგრანტების რაოდენობის, პირვანდელი საცხოვრებელი ტერიტორიების, რელიგიური მიკუთვნებულობის, ასევე კერძო საცხოვრებლით/საკუთრებით უზრუნველყოფის პრაქტიკის შესახებ;

[2] შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტები, მათ შორის, ინფორმირებული თანხმობის ფურცელი, ინტერვიუს გზამკვლევი და ჩატარდა საპილოტე კვლევა სამიზნე მუნიციპალიტეტებში; საპილოტე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მცირედით მოდიფიცირდა ინტერვიუს გზამკვლევი;

[3] მოხდა ემპირიული მონაცემების შეგროვება სამიზნე მუნიციპალიტეტების სოფლებში;

კვლევის გეოგრაფია

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის ზოგად სამიზნე ჯგუფს, ადიგენსა და წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტები წარმოადგენენ, მათ შორის ეკომიგრანტები სვანეთიდან, რაჭიდან და აჭარიდან, თუმცა, კვლევის ამოცანების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აჭარიდან გამოსახლებულ ეკომიგრანტებს. აღნიშნულს ორმაგი მიზანი ჰქონდა: წალკისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ეკომიგრანტთა საჭიროებების შესწავლის გარდა, კვლევის სამიზნე რეგიონებში გასულ წლებში გამოვლენილი რელიგიური ნიშნით დევნის ფაქტებიდან გამომდინარე, მიზანი იყო ეკომიგრანტი რელიგიურ უმცირესობის წინაშე არსებული შესაძლო სპეციფიკური საჭიროებების, პრობლემებისა და ბარიერების შესწავლაც.

კვლევის გეგოფრაფიის განსასაზღვრად შეირჩა შემდეგი მახასიათებლები:

- ადიგენისა და წალკის ის სოფლები, სადაც ეკომიგრანტი ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ;
- კონფლიქტის გამოცდილების მქონე სოფლები ადიგენისა და წალკის მუნიციპალიტეტებში;

სიღრმისეული ინტერვიუები შემდეგ დასახლებებში ჩატარდა:

წალკის მუნიციპალიტეტი: ქალაქი წალკა; სოფლები: სამადლო; ახალშენი; ბეშთაშენი; გუმბათი; ავრანლო; არწივანი; ტბეთი; კავთა; საბეჭისი; (ჯამში 20 ინტერვიუ)

ადიგენი: დაბა ადიგენი; სოფლები: მოხე; ჭელა; ნამნიაური; კიკიბო; დერცელი; (ჯამში 19 ინტერვიუ)

ფიგურა1. რესპონდენტთა რიცხვი და გეოგრაფიული განაწილება

მუნიციპალიტეტი	რესპონდენტთა რაოდენობა	თავდაპირველი საცხოვრებელი რეგიონი			ქალი	კაცი	საშუალო ასაკი
		სვანეთი	რაჭა	აჭარა			
ადიგენის მუნიციპალიტეტი	19	-	8	11	8	11	57 წელი
წალკის მუნიციპალიტეტი	20	6	-	14	13	7	46 წელი
სულ	39	6	8	25	21	18	-

შერჩევა და მონაცემთა შეგროვება

სამიზნე ჯგუფებიდან რესპონდენტთა შერჩევისთვის გამოყენებულ იქნა თოვლის გუნდის მეთოდი. 2024 წლის ოქტომბრის დასაწყისში განხორციელდა საპილოტე კვლევა, რა დროსაც მოხდა ინტერვიუს გზამკვლევის შემოწმება; საპილოტე კვლევის შემდეგ, ინტერვიუს გზამკვლევი მცირედით შესწორდა. ემპირიული მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა ბიოგრაფიულ-ნარატიული და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. ინტერვიუების ჩაწერა მოხდა ხმის ჩამწერ მოწყობილობაზე; კვლევის პერიოდში მომზადდა საველე ჩანაწერები.

მონაცემთა ანალიზი

ემპირიული კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემები, კერძოდ, აუდიო და საველე ჩანაწერები გაციფრულდა და გაშინაარსდა (მომზადდა ტრანსკრიპტები). ტრანსკრიპტების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მონაცემების დამუშავებისთვის შექმნილი კომპიუტერული პროგრამა MAXQDA, სადაც მოხდა მონაცემთა კოდირება და შემდგომ მათი თემატურ კატეგორიებად დაყოფა. კვლევის მიგნებები სწორედ აღნიშნულ კატეგორიებს დაეყრდნო.

კვლევის ეთიკა

კვლევის ყველა ეტაპი ეთიკური სტანდარტების დაცვით განხორციელდა. მომზადდა ინფორმირებული თანხმობის ფურცელი, რომელშიც მოცემული კონფიდენციალურობა-სთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რესპონდენტებს სიღრმისეული ინტერვიუს დაწყებამდე გაეცნოთ. სამიზნე ჯგუფებში ნდობის მოსაპოვებლად, კვლევაში ჩართული იყო კვლევის ადგილობრივი ასისტენტი.

კვლევის შეზღუდვები:

- შერჩევის ზომა: შერჩევის თავისებურებებიდან (ადიგენის და წალკის მუნიციპალიტეტები, განსაკუთრებული ფოკუსი ქართველ მუსლიმ ეკომიგრანტ თემზე) და რესპონდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლოა არ იყოს მართებული კვლევის მიგნებების საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ ეკომიგრანტებზე განზოგადება.

3. თეორიული ჩარჩო

ეკომიგრანტების ახალ სოციალურ სივრცეში ინტეგრაცია მკაფიოდ შემოსაზღვრულია როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური განზომილებებით. მათზე დაკვირვება და სოციალური ინკლუზიურობისა და ექსკლუზიის თეორიული ჩარჩოდან შესწავლა, კონცეპტუალიზებულია როგორც „პროცესი, სადაც ურთიერთობები მრავალგანზომილებიანია“ და უთანასწორობა ხილული (Schierup, Krifors & Slavnic, 2015). სოციალური ინკლუზია მოიცავს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მონაწილეობის შესაძლებლობებს, ადგილობრივ მოსახლეობასთან თანასწორ ურთიერთობასა და სრულფასოვან ჩართულობას. ამის საპირისპიროდ, სოციალური ექსკლუზია განიმარტება როგორც ისეთი სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობების ერთობლიობა, როგორიცაა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან გარიყულობა და საბაზისო უფლებებზე: განათლებაზე, ჯანდაცვაზე, საცხოვრისსა და სოციალურ სერვისებზე არასათანადო წვდომა. ეკომიგრანტთა ინტეგრაციის საკითხის განხილვა შეუძლებელია სოციალური ექსკლუზიის თეორიის გარეშე, ვინაიდან, ექსკლუზიის მასშტაბები ეკომიგრანტთა ჯგუფებში დამოკიდებულია არა მხოლოდ მათი გადაადგილების ეკოლოგიურ მიზეზებზე, არამედ დემოგრაფიულ ფაქტორებზეც, მათ შორის ეთნიკურ და რელიგიურ მახასიათებლებზე (Schierup., et.all, 2015.p.3-5). სოციალური ექსკლუზიის თეორიული პერსპექტივიდან, გარკვეული ჯგუფები გარიყული არიან იმ საზოგადოებისგან, რომელთანაც თანაცხოვრობენ, შრომობენ და სოციალურ ურთიერთობებში ერთვებიან. სოციო-ეკონომიკური უთანასწორობა ეკომიგრანტებისთვის დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით მაშინ, თუ, როგორც აჭარელი ქართველი მუსლიმი თემის შემთხვევაში, ეკომიგრანტები რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ. მოწყვლადობის ეს დამატებითი გარემოებები ამ ჯგუფების სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაბმას ორმაგად უშლის ხელს. სოციალური ექსკლუზიის ცნების თავდაპირველი ინტერპრეტაცია ძირითადად ეკონომიკურ განზომილებას უკავშირდებოდა, თუმცა შემდგომში მან შეიძინა სხვა ასპექტებიც. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა გაზომვადი ინდიკატორების შემუშავება. ამ თვალსაზრისით,

პოლიტიკური ექსკლუზია გულისხმობს საზოგადოებრივ და საჯარო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უთანასწორო შესაძლებლობებს; კულტურული ექსკლუზია ასახავს რელიგიური, ეთნიკური და სხვა უმცირესობათა გარიყვას დომინანტური ჯგუფებისგან; ეკონომიკური ექსკლუზია კი მოიცავს დასაქმებაზე, ეკონომიკურ სექტორებში მონაწილეობაზე, განათლებაზე, ჯანდაცვასა და საცხოვრისზე შეზღუდულ წვდომას (Silver, 1994; Atkinson & Davoudi, 2000).

ვინაიდან სოციალურ ექსკლუზია ერთდროულად არის პროცესიც და შედეგიც, კონკრეტული ჯგუფის ექსკლუზიის მიზეზები საზოგადოების სხვა ჯგუფებთან მიმართებაში არსებული განსხვავებებისა და უთანასწორობების შესწავლით შეიძლება შეფასდეს (Pennix, 2004). მიგრაციის შესახებ ლიტერატურა აქტიურად იყენებს სოციალური ექსკლუზიის თეორიებს, რათა გამოყოს ინტეგრაციის პოლიტიკის ინდიკატორები და შეაფასოს მიგრანტთა ცხოვრების ხარისხი და ინტეგრაციის დონე.

ამ კონტექსტში, რამდენიმე განზომილებას განასხვავებენ: (i) სამართლებრივ-პოლიტიკური განზომილება მოიცავს მიგრანტების სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში, მათ სამართლებრივ სტატუსსა და ამ სტატუსის ფარგლებში არსებული უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციას; (ii) სოციო-ეკონომიკური განზომილება დაკავშირებულია ინკლუზიურ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან, რესურსებზე წვდომასთან, სოციალურ დაცვასთან, განათლებასა და ჯანდაცვასთან; (iii) კულტურულ-რელიგიური განზომილება, როგორც ფენინქსი (Penninx, 2004) ამტკიცებს, მოიცავს კულტურული და რელიგიური უფლებების დაცვას, ეთნიკური და კულტურული იდენტობის გამოხატვის შესაძლებლობას და ინტეგრაციული გარემოს არსებობას.

მიგრანტების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არასათანადოდ ჩართვა, მათ სხვა ზემოაღნიშნულ განზომილებებში არსებული უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობებსაც უზღუდავს. სტრუქტურულმა და ინსტიტუციურმა ხარვეზებმა შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაყოფა „ჩვენიანებად“ და „უცხოებად“. სწორედ ამიტომ, ფენინქსი (Penninx) ასკვნის, რომ თუ სახელმწიფო პოლიტიკა და ადგილობრივი

ინსტიტუტები ეკომიგრანტების ინტეგრაციას სათანადოდ არ უზრუნველყოფენ, ისინი ავტომატურად ექცევიან მარგინალიზაციისა და სოციალური ექსკლუზიის საფრთხის ქვეშ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის როლის გააზრება, რომელიც უშუალოდ ურთიერთობს ეკომიგრანტებთან. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ საიმიგრაციო პოლიტიკის ეფექტიანობა პრაქტიკაში აისახება არა მხოლოდ სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოებში, არამედ ადგილობრივთა და ეკომიგრანტთა ყოველდღიურ ურთიერთობებშიც. საქართველოში ეკომიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენს. ასეთ პირობებში ინტეგრაციის ბარიერები მხოლოდ სახელმწიფო სერვისების ბარიერებით არ შემოიფარგლება; რელიგიური პრაქტიკების, დღესასწაულებისა და კულტურული ტრადიციების განსხვავებულობა ხშირად უხილავ საზღვრებს ქმნის საზოგადოებებს შორის.

4. კვლევის მიგნებები

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში პირველი შიდა რეგიონული ორგანიზებული განსახლებები იწყება. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ამ მიზანმიმართულ განსახლებებს შრომითი მიგრაციის ხასიათი ჰქონდა. სასოფლო-სამეურნეო განსახლებების მიზანი, ზოგიერთ რეგიონში მუშახელის ნაკლებობით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრა, მოსახლეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დასაქმება იყო (Manvelidze, I., et all, 2024). 1950-70-იანი წლებიდან უკვე რეგიონთაშორისი მიგრაციის გამოცდილება ჩნდება, სადაც შრომით მიგრაციასთან ერთად, უკვე ეკოლოგიური მიგრაციის ნიშნებიც იკვეთება (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). უშუალოდ 1980-იანი წლებიდან კი, ორგანიზებული გადასახლებების მიზეზი სტიქიური უბედურებები ხდება. ეკომიგრაციის მთავარი ეპიცენტრი აჭარა და სვანეთია. სწორედ ამ რეგიონებიდან დაიწყო აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში მოსახლეობის განსახლება. თუ 1920-იან და 1940-იან წლებში ეკომიგრანტები ახალ საცხოვრებელ ადგილებში ორგანიზებულად სახლდებოდნენ, 80-იანი წლებში მეცნიერთა შეფასებით, „ეროვნულმა ხელისუფლებამ ეკომიგრანტები დღის წესრიგში არსებული დემოგრაფიული დაბალანსებისათვის საჭირო იარაღად გამოიყენა და დაიწყო ეკომიგრანტების უმცირესობებით დასახლებულ და სასაზღვრო რეგიონებში ჩასახლება, რაც სახელმწიფო სასაზღვრო ზოლის პოლიტიკურ ,'გამყარებას' ისახავდა მიზნად" (Manvelidze, I., et all, 2024) რასაც თან დაერთო, თვითნებური მიგრაციული პროცესებიც.

როდესაც ორგანიზებულ განსახლებაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება რომ მოსახლე, რომელიც განსახლების პროგრამაში ხვდებოდა, ვალდებული იყო მიეღო განსახლების ნებართვა, რისი აღებაც პირვანდელი საცხოვრისის სახელმწიფო ორგანოში ხდებოდა (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). შემდეგ სახელმწიფო მიგრანტებს მიწის საკუთრებით და ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფდა. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ეკომიგრანტთა პირველ ორგანიზებულ გადასახლებას 1980-იანი წლებიდან ვხვდებით (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). მკვლევართა შეფასებით, გადასახლების ეს პროგრამები კარგად იყო

ორგანიზებული (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). თითოეული ოჯახისთვის გამოყოფილი იყო სესხი, საიდანაც მიგრანტ ოჯახებს მოგვიანებით 45% უნდა დაებრუნებინათ; ეკომიგრანტები 1980-იან წლებსა და 1990-იანი წლების დასაწყისში, სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში და კახეთში განასახლეს. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი მიგრანტთა ძირითადი მიმღები ქვემო ქართლი გახდა. სახელმწიფო მათ ლოგისტიკურ დახმარებასაც უწევდა სახლების აშენებაში; ამასთანავე, სამუშაო ადგილებზე ეკომიგრანტის სტატუსის მქონე ადამიანებს უპირატესი უფლება ენიჭებოდათ. 1987 წელს, გამოიცა დადგენილება, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ქმედითი ზომების მიღებასა და საცხოვრებელი ადგილის პრობლემის გადაჭრას ავალებდა.[1] სვანეთში 1987 წელს მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ, რომლის შედეგადაც 85 ადამიანი დაიღუპა და 16,000 ეკომიგრანტი გახდა, სახელმწიფომ ახალი სახლების აშენება დაიწყო ქვემო ქართლში (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). მსგავსი საპასუხო ქმედებები განხორციელდა 1989 წელს აჭარაში მეწყრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვისაც, თუმცა აჭარის სტიქიური უბედურებების მსხვერპლთა განსახლების პროცესი ხარვეზებით წარიმართა, რაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ძვრებით იყო განპირობებული; როგორც ტომ ტრიერისა და მედეა ტურაშვილის კვლევის მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, იმის გამო, რომ თავდაპირველი საცხოვრებელი სახლების გეოლოგიური დასკვნები განსახლების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა, დასკვნების გაცემის პროცესი კორუფციის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა და ბევრმა ისეთმა ადამიანმა მიიღო განსახლების უფლება, ვისაც სტიქია არ შეხებია და მხოლოდ ქონების მიღება სურდა, რაც ნეგატიურად აისახა იმ ადამიანებზე, რომლებიც სტიქიის ზონაში დარჩნენ და ვერ მოახერხეს განსახლებულთა სიებში მოხვედრა. კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ ნაწილობრივ ამ მიზეზებმა განაპირობა მაღალი უკუმიგრაციის მაჩვენებლებიც (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). კერძოდ, ისინი ვინც ყალბ გეოლოგიურ დასკვნებს და შესაბამისად, საცხოვრისს მოიპოვებდნენ, განსახლების რეგიონებში მცირე ხნით სახლდებოდნენ. მას შემდეგ კი, რაც საბოლოოდ "დაიკანონებდნენ" ახალ სახლებს, უკან, აჭარაში ბრუნდებოდნენ. მეორე მხრივ, უკუმიგრაციის კიდევ ერთი მიზეზი,

[1] სსრკ-ს დადგენილება.(1987). *საქართველოს სსრ-ში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის დახმარების შესახებ*

მოგვიანებით, 1990-იან წლებში სუსტი სახელმწიფო პოლიტიკა გახდა. ეკომიგრანტები ახალ საცხოვრებელ გარემოში ინდივიდუალური სახლების გარეშე, დროებით თავშესაფრებში ცხოვრობდნენ ან საკუთარი ხარჯებით უხდებოდათ სახლის დაქირავება. შესაბამისად, ნაწილი უკან, სტიქიის ზონებში დაბრუნდა.

1980-იან წლებში ეკომიგრანტებისთვის სახელმწიფო უზრუნველყოფდა:

- უსასყიდლო საცხოვრებელ ფართს;
- 0,25ჰა საკარმიდამო და 0,25ჰა სახნავ-სათეს მიწის ნაკვეთს;
- სურვილის შემთხვევაში, იჯარის სახით დამატებით მიწის ნაკვეთს;
- დახმარების სახით 4 ათასი რუბლს და ავეჯს;
- 4 ათასი რუბლის ოდენობის უპროცენტო სესხს პირუტყვის სადგომებისა და სხვა სასოფლო ნაგებობების მშენებლობისთვის;

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ახალ საცხოვრისებში ოთახების რაოდენობა, ოჯახის წევრთა რიცხოვნობის შესაბამისი იყო. ერთი დასახლებული პუნქტიდან გადმოსახლებული ოჯახების განსახლება ახალ სოფლებში ერთობლივად ხდებოდა (ტრიერი & ტურაშვილი, 2007).

ფიგურა 1. შიდა მიგრაციის ისტორიული მიმოხილვა ეკომიგრანტთა კონტექსტში

წელი	**მოვლენა და მიზეზი**	**განსახლების რეგიონი**
1980 - იანი წლები	კლიმატური ცვლილებებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩა ათიათასობით ადამიანი	სამეგრელო; გურია; იმერეთი; სამცხე; ჯავახეთი; შიდა ქართლი; კახეთი;
1981 - 1983 წლები	**განსახლება მაღალმთიანი აჭარიდან** 110 ოჯახი	ადიგენი; ასპინძა; ხობი; კასპი; საგარეჯო; გურჯაანი; დედოფლისწყარო.
1987 წელი	**განსახლება სვანეთიდან.** სვანეთში რამდენიმე სოფელი და ჯამში 2,000 სახლი ზვავში მოჰყვა;	ოზურგეთი; ლანჩხუთი; წყალტუბო; ხონი; კასპი; თეთრიწყარო; გარდაბანი;

წელი	**მოვლენა და მიზეზი**	**განსახლების რეგიონი**
	გარდაიცვალა 85 ადამიანი; ევაკუირდა 16 ,000 ადამიანი.	მარნეული; ბოლნისი; დმანისი; საგარეჯო;
1989 წელი	**განსახლება მაღალმთიანი აჭარიდან.** შუახევისა და ქედას სოფლებში აპრილის თვეში მოხდა რამდენიმე მეწყერი, რის შედეგადაც დაზარალდა 5,657 ოჯახი.	აჭარა; გურია; ჯავახეთი; იმერეთი; შიდა ქართლი; ქვემო ქართლი; კახეთი;
1990 - იანი წლების მეორე ნახევარი	შიდა მიგრაცია - მიგრანტთა დაუდგენელი რაოდენობა სვანეთიდან და მაღალმთიანი აჭარიდან კლიმატური ცვლილებებისა და სტიქიური მოვლენების გამო დამოუკიდებლად გადასახლდა;	ქვემო ქართლი
1990 - იანი წლებიდან	უკუმიგრაცია ქვემო ქართლიდან - რთული სოციალური და ეკონომიკური პირობების გამო ეკომიგრანტთა უკუმიგრაცია;	აჭარა
1990 - იანი წლებიდან	ემიგრაცია - ეთნიკურმა უმცირესობებმა, კერძოდ: 1. წალკასა და ახალქალაქში მცხოვრებმა ეთნიკურად ბერძნებმა, ნაციონალისტური და ქსენოფობიური პოლიტიკის გამო დაიწყეს საქართველოდან ემიგრაცია. იმავე მიზეზების გამო,	ეთნიკურად ბერძნები - საბერძნეთში, ავარები - აზერბაიჯანში, დუხობორები - რუსეთში, ეთნიკურად სომხები კი სომხეთში გადასახლდნენ.

წელი	მოვლენა და მიზეზი	განსახლების რეგიონი
	ნინოწმინდის რაიონი დატოვეს რუსმა დუხობორებმა; ყვარელი დატოვა ავართა თემმა; ასევე მოხდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის დატოვება ეთნიკურად სომხური და აზერბაიჯანული თემების ნაწილების მიერ.	

წყარო: ტრიერი & ტურაშვილი, 2007

1992-1998 წლებში, მიწის რეფორმასთან ერთად, რომლის მიზანიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მოქალაქეებისთვის კერძო საკუთრებაში გადაცემა იყო, ეკომიგრანტებს საცხოვრებელი სახლებიც გადაეცათ; რეფორმის შედეგად, სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებ ეკომიგრანტებს სახლები და 0,15-1,25 ჰა ნაკვეთები გადაეცათ. 1998 წელს შეიქმნა ეკომიგრაციის მონიტორინგის პროგრამა, 2005-2006 წლებში კი ეკომიგრანტთა მონაცემთა ბაზა შემუშავდა; 2004 წლიდან ეკომიგრანტთა სახლებით უზრუნველყოფის პროგრამა შემუშავდა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფომ წალკაში ბინების შესყიდვა დაიწყო. ეს წელი განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა წალკისთვის, რადგან ეკომიგრანტ აჭარლებსა და ადგილობრივ ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას შორის რამდენიმე კონფლიქტური ეპიზოდი მოხდა, რამაც თვალსაჩინო გახადა ეკომიგრაციის პროცესების რეგულირების საჭიროება. მათ შორის იყო ყველაზე გახმაურებული 2004 წლის შემთხვევაა, როდესაც სოფელ ქვემო ხარებაში ფეხბურთის თამაშის დროს სოფელში მცხოვრებ აჭარელ ბავშვებსა და სოფელ კიზილ-კილისიდან (ყიზილქილისა) ჩამოსულ ეთნიკურად სომეხ ბავშვებს შორის ჩხუბი მოხდა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. აჭარლებმა თბილისში საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს. გამოძიების პარალელურად, ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად ბერძენი მაცხოვრებლები აცხადებდნენ, რომ აჭარლები მათ უფლებებს არღვევდნენ, რაზეც ადგილობრივი აჭარლების პასუხი იყო, რომ ეთნიკურად სომხები და

ბერძნები რეგიონში ქართველების ცხოვრებას ეწინააღმდეგებოდნენ (ECMI, 2006, გვ.9). 2006 წელს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეიმუშავა შეფასების სისტემა, რომელიც განსაზღვრავდა მოსახლეობის განსახლების საჭიროებას. სისტემა დაყოფილი იყო ოთხ კატეგორიად: მაგალითისთვის, პირველი კატეგორია მოიცავდა შემთხვევებს, როდესაც სტიქიური უბედურების შედეგად სახლი ან მისი ნაწილი დანგრეული იყო; მესამე კატეგორიად ითვლებოდა დაზიანებული სახლი, რომელიც აღდგენას ექვემდებარებოდა; მეოთხე კატეგორია აღწერდა სახლს, რომელიც თავად არ დაზიანებულა, მაგრამ მიმდებარე მიწის ნაკვეთი იმდენად იყო დეგრადირებული, რომ გამოყენებისთვის გამოუსადეგარი იყო.

2013 წელს კანონით განისაზღვრა ეკომიგრაცია და ეკომიგრანტის სტატუსი, ამასთან, სახელმწიფომ დაიწყო ზრუნვა შესაბამისი მონაცემების განახლებაზე (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია (2023) აღნიშნული, მონაცემები არასრულია არა მხოლოდ ცენტრალური მთავრობის, არამედ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზეც. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თქმით, ამ ტიპის მონაცემების სიმწირე განპირობებულია მცირე ფინანსური რესურსებით. შესაბამისად, უცნობია როგორც ეკომიგრანტთა საერთო რაოდენობა, ისე მათი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული და სხვა ტიპის რიცხობრივი განაწილებები; სახალხო დამცველის ანგარიშში (2023) ნათქვამია, რომ „სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 9,326 ეკომიგრანტი ოჯახიდან, საცხოვრებლით მხოლოდ 3,088 ოჯახია უზრუნველყოფილი.

მონაცემები განსაკუთრებით საგანგაშოა იმ პირების შემთხვევაში, რომლებსაც ჯერაც არ დაუტოვებიათ ეკოლოგიური კატასტროფის ზონაში მდებარე სახლები და გეოლოგიური პროცესების გამო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრობენ. ამ მხრივ, განსახლების ლოდინის პრაქტიკა რიგ შემთხვევებში 6 წელსაც კი ითვლის, რაც „არაგონივრულად დიდი დროა“ (სახალხო დამცველის ანგარიში, 2023). ასევე, იმ მუნიციპალიტეტებში სადაც ეკომიგრანტები არიან განსახლებული, არადამაკმაყოფი-ლებელია დაზარალებულ ეკომიგრანტთა იდენტიფიცირების და შემდგომი მხარდაჭერის პროგრამები. სააგენტოს მუშაობაში არსებულ სისტემურ ნაკლოვანებაზე მეტყველებს შესაბამისი სასამართლო განჩინებებიც. სამართალმცოდნეთა ჯგუფის მიერ შესწავლილი,

2019-2023 წლებში გამოცემული 20 განჩინებიდან უმრავლესობა ბათილად ცნობს სააგენტოს უარს განმცხადებელთა განსახლებაზე. მიუხედავად ამისა, სააგენტო საბოლოო ინსტანციამდე აგრძელებს შესაბამის დავებს და ეკომიგრანტებს საცხოვრებლით არ აკმაყოფილებს (ჩიხლაძე, 2023). თავის მხრივ, სააგენტოს მიერ ყველა ინსტანციის ამოწურვა ამ პროცესების გაჭიანურებას იწვევს და შესაბამისად, ეკომიგრანტები წლების განმავლობაში საცხოვრებლით დაუკმაყოფილებლები რჩებიან.

თუმცა, ერთია გამოწვევები, რომლებსაც ეკომიგრანტები სახელმწიფოსთან სამართლებრივი და ინსტიტუციური კომუნიკაციის პროცესში აწყდებიან და მეორეა, შესაძლო ყოველდღიური ბარიერები იმ საცხოვრებელ ადგილებში, სადაც მათი განსახლება მოხდა. განსახლების ადგილებში ეკომიგრანტთა ინტეგრაციის პრობლემები დაკავშირებულია სხვადასხვა რესურსებზე არასაკმარის და არათანაბარ წვდომასთან, კულტურული და რელიგიური უფლებების განხორციელებასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან სოციალიზაციასთან. ეს მოვლენები ხშირად უხილავია და დღის წესრიგში მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ადგილობრივებს შორის კონფლიქტები იჩენს თავს. სახელმწიფოს სუსტი სამართლებრივი და პოლიტიკური ნაბიჯების ფონზე, ეკომიგრანტებით დასახლებულ სოფლებში, სადაც განსხვავებული რელიგიის მქონე ადგილობრივ და ეკომიგრანტ თემებს იქამდე ერთ სივრცეში თანაცხოვრების კოლექტიური მეხსიერება არ ჰქონდათ, ხშირია ამგვარი კონფლიქტები.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია წალკასა და ადიგენში მცხოვრები ეკომიგრანტების ძირითადი სოციალური და ეკონომიკური საჭიროებები, რაც ერთი მხრივ, ეკომიგრანტების საჭიროებებზე და მეორე მხრივ, ადგილზე არსებული კონფლიქტების მიზეზებსა და გარემოებებზე დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა.

4.1 ეკომიგრაცია წალკასა და ადიგენში

ეკომიგრაცია, მისი ფართომასშტაბიანი სოციალური მობილობისა და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცელია. მიუხედავად ამ მოვლენის როგორც ისტორიული, ისე სოციალური

მნიშვნელობისა, ეკომიგრანტი ოჯახების გამოწვევები და საჭიროებები იშვიათად ხდება პოლიტიკური დღის წესრიგის, აკადემიური კვლევებისა თუ ფართო საზოგადოებრივი დისკუსიების საგანი. სახელმწიფოს მხრიდან ინტეგრაციისა და ჩართულობის მხარდამჭერი პროგრამების სიმცირე, განსაკუთრებით უარყოფითად აისახა ეკომიგრანტების სოციო-ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. ეკომიგრანტ ოჯახებს ყოველდღიურად უწევთ საბაზისო საჭიროებების უზრუნველყოფისთვის ბრძოლა. სათანადო საცხოვრისისა და სოციალური დაცვის კუთხით არსებული გამოწვევების მიღმა, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ეკომიგრანტი ოჯახებისთვის თავს იჩენს რელიგიურ და კულტურულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული სირთულეებიც.

წალკასა და ადიგენში მცხოვრები ეკომიგრანტი ოჯახების ინტერდისციპლინური პრიზმიდან სიღრმისეული შესწავლა, საშუალებას მოგვცემს ნათლად გამოვკვეთოთ ამ სოციალური ჯგუფის წინაშე არსებული სტრუქტურული უთანასწორობა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეკომიგრანტ ოჯახებსა და ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას შორის კონფლიქტების შემთხვევებზე, რეაგირება მხოლოდ საპოლიციო ძალების ჩართვით შემოიფარგლება, რაც, კონფლიქტის მოგვარების ილუზიას ქმნის, მათ დროებით ყინავს, სინამდვილეში კი არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებს.

საქართველოში ეკომიგრაციის მთავარი ეპიცენტრები წალკის და ადიგენის მუნიციპალიტეტები იყო. თავდაპირველად, ამ რეგიონებში ოჯახები აჭარიდან, სვანეთიდან და რაჭიდან სახელმწიფომ ჩაასახლა, შემდეგ კი მათი ნაწილი ამ რეგიონებში თვითნებურად ჩასახლდა. ამ ოჯახებმა სტიქიური პროცესების გააქტიურების შედეგად დაკარგეს სახლები და საარსებო მიწები, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად კი, მათი ცხოვრების პრაქტიკებისა და ტრადიციებისგან სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებში გადასახლდნენ.

ერთ-ერთი პირველი ეკომიგრაციული ნაკადი **სვანეთიდან,** იქ გახშირებულმა ზვავებმა წარმოშვა. ამ ნაკადში შემავალი ეკომიგრანტების განსახლება **წალკის** მუნიციპალიტეტში მოხდა. ამავე პერიოდში ეკომიგრანტთა ნაწილი ადიგენის მუნიციპალიტეტშიც ჩასახლდა, სადაც სახელმწიფომ მათი ფინანსური და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა უზრუნველყო. ადიგენში არსებული საცხოვრებელი და სასოფლო-სამეურნეო მიწები, რომლებიც მუსლიმი მესხების იძულებით გადასახლების შედეგად დარჩა, სახელმწიფომ ეკომიგრანტებს გადასცა. ადიგენში ჩასახლებული **აჭარელი** ეკომიგრანტი ოჯახებისთვის, ადიგენის მიმზიდველობას, როგორც ხულოსთან სიახლოვე, ისე აჭარელი მუსლიმებისა და ადიგენელი ქრისტიანების თანაცხოვრების ისტორიული გამოცდილებაც განაპირობებდა.

1997 წლისთვის წალკაში ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით, საბერძნეთში მიგრირებული ბერძნების მიერ მიტოვებული რამდენიმე ათეული სახლი სახელმწიფომ შეიძინა. 1998 წლიდან, ამ პროცესების პარალელურად, ოჯახების ნაწილი საკუთარი ინიციატივით ჩასახლდა წალკის ტერიტორიაზე.

1979 წლიდან 2002 წლამდე წალკის ეთნიკურად ბერძნული მოსახლეობა 85%-ით შემცირდა. 2002 წელს წალკაში მხოლოდ 4,589 ეთნიკურად ბერძენი მოსახლეღა იყო დარჩენილი. კვლევის რესპონდენტების თქმით, ბერძნები ბინებს ნათესავებს ან ადგილობრივ ეთნიკურ სომხებს უტოვებენ მოსავლელად, ან აქირავებენ და დროდადრო მშობლიურ რეგიონს უცხოეთიდანაც სტუმრობენ.

2005 წელს წალკის სოფელ ოლიანკაში, სახელმწიფომ ორგანიზებულად 21 ეკომიგრანტი ოჯახი ჩაასახლა და 264 ოჯახი ეკომიგრანტთა ბაზაში აღრიცხა. ამავე წელს წალკაში რა-მდენიმე კონფლიქტური სიტუაცია დაფიქსირდა სვანეთიდან და აჭარიდან მიგრირებულ პირებსა, ადგილობრივ ეთნიკურ ბერძნებსა და ეთნიკურ სომხებს შორის; სახალხო დამცველის 2005 წლის ანგარიშის მიხედვით, ამ წელს წალკაში სისხლის სამართლის რვა დანაშაული მოხდა.

2000-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთი დაპირისპირება, რომელიც სვანეთიდან მიგრირებულ პირებსა და ეთნიკურად სომხებს შორის მოხდა 23 წლის ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობით დასრულდა. პოლიციამ დამნაშავეები დააკავა, თუმცა ადგილობრივი ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ნაწილი ეჭვმიტანილთა ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდა.

წალკა არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ რელიგიური მრავალფეროვნებითაც გამორჩეული რეგიონია. აქ თანაცხოვრობენ მართლმადიდებელი ქართველები, ეთიკურად სომეხი და ბერძენი ქრისტიანები, აგრეთვე აჭარელი მუსლიმი ქართველები.

კვლევის ფარგლებში გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, (წერილის ნომერი: 112-112250298) 2025 წლის იანვრის მონაცემებით, **ადიგენის** მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეკომიგრანტის სტატუსის მქონე ოჯახთა რაოდენობა 73-ს შეადგენდა. წერილში ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 73 ოჯახიდან, დღევანდელი მდგომარეობით „[რედ. საცხოვრებელი სახლით] დაკმაყოფილდა 65-ი, ხოლო 8 ოჯახს წარმოსადგენი აქვს დამატებითი დოკუმენტაცია დახმარების მისაღებად“.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა არადომინანტი რელიგიური ჯგუფების განწყობები და ინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევები გამოავლინა. **წალკაში** მცხოვრები ეკომიგრანტები თვლიან, რომ სვანი ეკომიგრანტი ოჯახები შედარებით უკეთ არიან ინტეგრირებული ადგილობრივ სოციალურ ქსოვილში, რაც მათი როგორც “მიღებული სოციალური ჯგუფის” იდენტობითაა განპირობებული. საპირისპიროდ, აჭარელი მუსლიმების ინტეგრაციას სირთულეები ახასიათებდა, რაც რელიგიური განსხვავებულობით, მათი ცხოვრების სტილითა, თუ სხვა სოციალური ბარიერებით იყო გამოწვეული.

2024 წლის თებერვალში, **წალკის** მუნიციპალიტეტის სოფელ **არწივანის** საჯარო სკოლაში პროზელიტიზმის ფაქტი დაფიქსირდა. ქრისტიანმა სასულიერო პირებმა საგაკვეთილო პროცესის დროს საკლასო ოთახები აკურთხეს და ჯვრები გააკრეს, რაზეც სკოლის მუსლიმი

პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების ნაწილმა პროტესტი გამოთქვა. ამ ფაქტზე, აუდიტის დეპარტამენტმა სკოლის დირექტორის მიერ ზოგადი განათლების კანონის მოთხოვნის დარღვევა დაადგინა.

რაც შეეხება **ადიგენს,** აქ მუსლიმი თემი არაერთხელ გამხდარა ფიზიკური თუ სოციალური დისკრიმინაციული შევიწროების მსხვერპლი (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022). მათ შორის იყო, 2013 წელს სოფელ ჭელაში მეჩეთის მინარეთის დემონტაჟი; 2014 წელს სოფელ მოხეში ისტორიული მეჩეთის დემონტაჟის მცდელობა და პროტესტის ჩახშობა მასობრივი დაკავებებით; ასევე აღსანიშნია 2016 წელს ადიგენში მუსლიმთა საფლავის მოწყობის შეზღუდვა; 2017 წელს მუსლიმი მოსწავლისთვის ჰიჯაბის მოხსნის მოთხოვნა საჯარო სკოლაში და მოხის მეჩეთის სტატუსთან დაკავშირებული გაურკვევლობა, რის გამოც თემს შენობის გამოყენების საშუალებას არ ეძლეოდა; 2018 წელს ქვაბიჯვარში მუსლიმი გლეხებისთვის მიწის ჩამორთმევა. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეკომიგრანტების მოსაზრებები ცხადყოფს, რომ წალკასა და ადიგენში ერთი მხრივ, არსებობს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საერთო გამოწვევები, რომლებიც ორივე მუნიციპალიტეტს აერთიანებს, ხოლო მეორე მხრივ, იკვეთება განსხვავებული გამოცდილებებიც, რაც ადგილობრივი კონტექსტითა და თავისებურებებითაა განპირობებული.

ორივე მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს ჩარევა 80-იანი წლებიდან დღემდე ძირითადად ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით შემოიფარგლა, ხოლო სოციალური და კულტურული ინტეგრაციის მიმართულებით მხარდაჭერის პროგრამები არ ყოფილა შეთავაზებული. **სვანები** წალკაში ეკომიგრანტების ერთ-ერთ პირველ ნაკადს წარმოადგენენ. მათ შედარებით ხანგრძლივი პერიოდი ჰქონდათ ახალ გარემოსთან შეგუებისა და ინტეგრაციისთვის. საბერძნეთში მიგრირებული ბერძნების სახლების ხელმისაწვდომ ფასად შეძენამ, სვან ოჯახებს შესაძლებლობა მისცა თავიდანვე მოეპოვებინათ სტაბილურობა. შესაბამისად, ისინი ადვილად ჩაებნენ ადგილობრივ სოციალურ ფერხულში. საგულისხმოა, რომ სვანები აღიქმებოდნენ „მიღებულ ჯგუფად“, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებაში უცხოდ არ მოიაზრებოდა. თუმცა, კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სვანი ეკომიგრანტების ნაწილი, რომელიც წალკის ძველ საავადმყოფოს

შენობაში ცხოვრობს, დღემდე ელოდება საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას. საკუთრებისა და მიწის რეგისტრაციის პრობლემა განსაკუთრებით ახასიათებს იმ ოჯახებს, რომლებიც მოგვიანებით ჩასახლდნენ რეგიონში (2000-იანი წლებიდან) და საკუთრების დაკანონების პროცესის მიღმა აღმოჩნდნენ.

რაჭველი ეკომიგრანტები ძირითადად ადიგენში დასახლდნენ, სადაც 1980-იან წლებში სახელმწიფომ მათ მიწა და საცხოვრებელი საშუალებები ორგანიზებულად გადასცა. ამ საწყისმა მხარდაჭერამ მათი ინტეგრაცია ერთობ გაამარტივა. რაჭველთა საჭიროებები ნაკლებად უკავშირდება საკუთრების პრობლემას - სახლები და მიწები მათ უმეტეს შემთხვევაში დაკანონებული აქვთ. თუმცა, ინფრასტრუქტურული გამოწვევები, როგორებიცაა დაზიანებული გზებიდან გამოწვეული ბუნებრივი, გეოლოგიური რისკები, მნიშვნელოვნად ზღუდავს მათ ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

სვანებისა და რაჭველების ინტერვიუებში იშვიათად ფიქსირდება ინტეგრაციის კულტურულ ან რელიგიურ სირთულეებზე საუბარი, რაც მათი ქრისტიანული იდენტობით არის განპირობებული. აქედან გამომდინარე, ორივე ჯგუფის საჭიროებები უფრო მეტად სოციალურ ინფრასტრუქტურასა და საბაზისო სერვისებზეა ორიენტირებული, ვიდრე კულტურულ ან იდენტობით გამოწვეულ ბარიერებზე.

4.2 ეკომიგრანტთა პოლიტიკური და ეკონომიკური მონაწილეობის საკითხები წალკასა და ადიგენში

ამ თავში ეკომიგრანტების პოლიტიკური და ეკონომიკური მონაწილეობის გამოცდილებებს მიმოვიხილავთ წალკასა და ადიგენში. პოლიტიკური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინდივიდებისა და ჯგუფების ჩართულობას გულისხმობს, ეკონომიკური მონაწილეობის საკითხები კი მოიცავს ინდივიდებისა და ჯგუფების სრულფასოვან შესაძლებლობას, დასაქმდნენ ადგილობრივ შრომის ბაზარზე და ჩაებან ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში. სოციალური ექსკლუზიის თეორიებში მონაწილეობის ეს

ფორმები ფუნდამენტურ მნიშვნელობას ატარებს, ვინაიდან პოლიტიკური მონაწილეობა არის სწორედ ის მექანიზმი, რომელიც მარგინალიზებულ ან დაუცველ ჯგუფებს საშუალებას აძლევს საკუთარი საჭიროებები პოლიტიკურ დღის წესრიგში ასახონ. შესაბამისად, პოლიტიკური ჩართულობის არარსებობა იწვევს ამ ჯგუფების გარიყვას საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებიდან, ხოლო უთანასწორო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაბმა, ეკომიგრანტებს კიდევ უფრო მოწყვლად და სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულ ჯგუფად აქცევს.

წალკასა და ადიგენში მცხოვრები ეკომიგრანტებისთვის, ეს საკითხები განსაკუთრებით რელევანტურია, რადგან მათი განსახლების მიზეზი სწორედ უსაფრთხოების და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ძიება გახდა. რამდენიმე ათეული წელია ეკომიგრანტები განაგრძობენ ახალ საცხოვრებელ გარემოში პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების ძიებას. მშობლიურ გარემოში სახლების, საკუთრების, მიწისა და სოციალური კავშირების დაკარგვის საკომპენსაციოდ, მათ ახალ საცხოვრებელ ადგილებში სრულყოფილი პოლიტიკური და ეკონომიკური თანაცხოვრება უნდა შესძლებოდათ.

კვლევის ფარგლებში **წალკაში** ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტების განწყობები ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ არსებულ სკეპტიციზმსა და უნდობლობაში გამოიხატება. ეკომიგრანტები თავს იკავებენ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მიმართვისგან. საკუთარი საჭიროებებისა თუ ინტერესების შესახებ კოლექტიური მობილიზაციის გამოცდილების არქონა კიდევ უფრო ამცირებს მათ ხილვადობას საჯარო პოლიტიკაში; რესპონდენტების აღქმით, აღნიშნულს მუნიციპალიტეტში განსხვავებულ თემთა თანაარსებობაც ამძაფრებს.

ეკომიგრანტები არ არიან ინფორმირებული სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ, ხოლო ისინი ვინც ინფორმირებული არიან, უნდობლობას უცხადებენ

ამ პროგრამებს. კვლევის რამდენიმე რესპონდენტს, მათი სამსახურებრივი და პროფესიული გარემოებების გათვალისწინებით (მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, საჯარო მოხელე) ჰქონია შესაძლებლობა დასწრებოდა ბიუჯეტის საჯარო განხილვებს და ამ განხილვებზე ეკომიგრანტთა საჭიროებების შესახებ საკუთარი მოსაზრებებიც დაეფიქსირებინა. მათი გამოცდილებით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ამ ტიპის კომუნიკაცია მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მხოლოდ არჩევნების პერიოდში ცდილობს გარიყულ სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაციას, თუმცა, მაშინაც კი, პრობლემების გადაჭრის პასუხისმგებლობა ცენტრალურ ხელისუფლებაზე გადააქვს. მუნიციპალური მთავრობა მხოლოდ მცირე ინფრასტრუქტურული საჭიროებებს აკმაყოფილებს, როგორებიცაა მაგალითად დაზიანებული მილებისა და სახურავების შეკეთება, თუმცა სხვა უფრო მასშტაბური გამოწვევებზე საპასუხოდ, მერიაში ეკომიგრანტებს ეუბნებიან, რომ წალკის მუნიციპალიტეტს მცირე ფინანსური რესურსი აქვს და რიგი საკითხები, როგორებიცაა ეკომიგრანტთა სამართლებრივი სტატუსი, მათი კერძო საკუთრებით დაკმაყოფილება და სოციალური შეღავათები, ცენტრალური ხელისუფლების მიერ უნდა გადაიჭრას. ამ პირობებშიც კი, მუნიციპალიტეტს უჭირს ოჯახებისთვის დაპირება, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებთან შუამავლის როლს იკისრებს და მათ ინტერესებს დაიცავს. გამოკითხულ რესპონდენტებს არც თავად ჰქონიათ და არც სხვისი მცდელობა ახსენდებათ, რომ წალკაში მცხოვრებ ეკომიგრანტებს, როგორც საზოგადოებრივ ჯგუფს კომუნიკაცია ჰქონოდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მაგ. დევნილთა სააგენტოსთან.

ეკომიგრანტები საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებისა და ბარიერების შეფასებისას აღნიშნავენ, რომ საჯარო განხილვები, მაგალითად ბიუჯეტის განხილვა, შეხვედრები პოლიტიკოსებთან თუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ფორმალურ ხასიათს ატარებს. გადაწყვეტილებებზე რეალური ზეგავლენის ბერკეტი კი მათ არ აქვთ. მაგალითად, წალკის ძველ საავადმყოფოში მცხოვრები მიგრანტები 2013 წლიდან აწარმოებენ მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკებებს და უკვე 7 წელზე მეტია ელოდებიან კერძო საკუთრების დაკანონების შესახებ დაპირების შესრულებას.

წალკაში, კვლევის არაერთმა მონაწილემ აღნიშნა სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პროგრამების სიმცირე. კვლევის მონაწილე ზოგიერთ ოჯახს, სხვადასხვა საგრანტო პროექტის ფარგლებში ტრაქტორი, თუ სხვა ტექნიკა შეუძენია, თუმცა სხვა რესპონდენტებთან იგივე შესაძლებლობებზე საუბრისას, არაერთმა აღნიშნა რომ მათ არათუ არ უცდიათ, არამედ არც კი გაუგიათ მსგავსი პროექტების შესახებ. ინფორმირებულობის პრობლემასთან ერთად, ეკომიგრანტები მოკლებული არიან ამ ტიპის საგრანტო პროექტებში მონაწილეობისთვის საჭირო სპეციფიკურ ცოდნას, როგორებიცაა მაგ. საგრანტო პროექტების შევსება ან ბიუჯეტის შედგენა. რიგ საგრანტო პროექტებში ასევე მოთხოვნილია თანადაფინანსება. ამდენად, სოციალური, ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის არარსებობის პირობებში, ეკომიგრანტი ოჯახების ნაწილი მოკლებულია ადგილობრივ, სახელმწიფო, თუ საერთაშორისო ეკონომიკურ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას:

> *„ალბათ, უნდა ჩანდე, ანათებდეო რო იტყვიან, აქტიური უნდა იყო რომ გაიგო ან დაფინანსდე, მე აგერ დაფინანსებას არ ვითხოვ, აგერ ამ მთებში რომაა მიწები იმაზე უფლება მომცენ (კაცი, ეკომიგრანტი სვანეთიდან, 62 წლის, ახალშენი)*

კვლევის მეორე სამიზნე რეგიონში, **ადიგენში,** საჯარო თავშეყრის სივრცეები გამოკითხული რესპონდენტების მიერ აღქმულია, როგორც პოლიტიკური მონაწილეობის არაფორმალური სივრცეები. ადგილები, სადაც მუდმივად მსჯელობენ პოლიტიკაზე და საკუთარ ყოფაზე. ადიგენში გამოკითხული აჭარელი მუსლიმი თემი აღნიშნავს, რომ თემში უიმედობა სუფევს, სოფლები ცარიელდება, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემები, თუ რიგ შემთხვევებში კონფლიქტური სოციალური ურთიერთობები, აიძულებს თემის დიდ ნაწილს, დატოვოს ადიგენი და გადავიდეს წალკაში (ნათესავებთან), თბილისში ან საერთოდ ქვეყნიდან წავიდეს.

საჯარო თავშეყრის ადგილები ადიგენის სოფლებში მრავლადაა. მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სოფლებში გამოკითხული რესპონდენტებისთვის საჯარო და ღია კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან უფრო ფორმალურ და ნაკლებად ეფექტიან პროცესად აღიქმება. რაჭიდან ჩამოსახლებული კვლევის მონაწილე

რესპონდენტების განცდით, მუნიციპალიტეტში რელიგიურ პირებს უფრო მეტი სანდოობა და გავლენა აქვთ, ვიდრე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. ეკომიგრანტთა საჭიროებები, რომლებიც შესაძლოა თვითმმართველობის კომპეტენციაში შედიოდეს, უფრო მეტად სასულიერო პირებთან განიხილება, რომლებიც თემის თვალში შუამავლის როლს ასრულებენ ადგილობრივ ხელისუფლებასა და ეკომიგრანტებს შორის.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ადიგენში მცხოვრებ მუსლიმ ეკომიგრანტებს გაუჩინა განცდა, რომ სასულიერო პირებთან ერთად, სამართალდამცავებიც ითავსებენ მუნიციპალური მოხელეების როლს:

> *"კი სასულიერო პირებს შეუძლიათ მოგვარება ყველაფრის. დალაგება, მათ შორის პოლიციასთან. ჯერ პოლიციასთან შეიძლება დაალაგონ და მერე საკრებულოსთან მაგალითად. პოლიცია ყურადღებით არის." (კაცი, აჭარელი ეკომიგრანტი, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი)*

ეს აღქმები მიუთითებს, რომ თვითმმართველობის ორგანოები ვერ ასრულებენ იმ ფუნქციას, რაც მათ კანონით ეკისრებათ: საჭიროებების დაფიქსირება, გადაწყვეტილებების მიღება და მოსახლეობასთან დიალოგი. ასეთი პირობების შედეგად, სახელმწიფოს როლი თემის თვალში პოლიციურ კონტროლამდე ვიწროვდება. ინტერვიუების დროს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩართულობაზე რესპონდენტები იშვიათად საუბრობდნენ, თუმცა, იყო ირიბი მინიშნებები, რომ პოლიცია თემთაშორისი დაძაბულობის დროს კონფლიქტის „დამამშვიდებელ ძალად" აღიქმება. რესპონდენტების საუბარში პოლიცია ფიგურირებს როგორც ინსტიტუტი, რომელიც ჩნდება მას შემდეგ, რაც დაძაბულობა უკვე გამოკვეთილია, და მისი როლი ხშირად მხოლოდ სიტუაციის დროებითი სტაბილიზაცია და განმუხტვაა.

მიუხედავად ინსტიტუციური სისუსტისა და ფორმალური მექანიზმების არაეფექტიანობისა, ადიგენში არსებობს თვითორგანიზების მცდელობების გამოცდილება. კონფლიქტების შემდგომ პერიოდში, ადგილობრივები თავად ცდილობენ დაძაბულობის მოგვარებას მოლაპარაკებით, თემის უხუცესებისა და რელიგიური ლიდერების მეშვეობით. რესპონდენტების თქმით, სოფელ მოხეში და სხვა თემებში არსებობდა შემთხვევები,

როდესაც დაპირისპირების შემდეგ სწორედ ადგილობრივი მოლაპარაკებები იქცა კრიზისის განმუხტვის გზად. ეს პრაქტიკა აჩვენებს, რომ თემები, მიუხედავად არსებული დაძაბულობისა, ინარჩუნებენ თანამშრომლობის უნარს და პასუხისმგებლობას ყოველდღიური თანაცხოვრების მიმართ.

ორივე მუნიციპალიტეტში, ეკომიგრანტების პოლიტიკურ მონაწილეობა ფორმალურობითა და რეალური გავლენის მექანიზმების არარსებობით ხასიათდება. **წალკაში** აღნიშნული გამოიხატა ბიუჯეტის საჯარო განხილვების ფორმალურ ხასიათში და კოლექტიური მობილიზაციის გამოცდილების არარსებობაში. **ადიგენში** ეკომიგრანტი ოჯახები არ არიან ინფორმირებული საჯარო შეხვედრების შესახებ და ნაკლებად აქვთ ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება.

სკეპტიციზმითა და უნდობლობით ხასიათდება ორივე რეგიონში ეკომიგრანტების განცდები სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. წალკაში ეს გამოიხატება დაბალი ინფორმირებულობით სახელმწიფო პროგრამების შესახებ, ადგილობრივ ხელისუფლების მიმართ ნაკლები მიმართვიანობით და უნდობლობით, ხოლო ადიგენში, ძალაუფლების ალტერნატიულ წყაროებზე (სასულიერო პირები, სამართალდამცავები) მიმართვიანობით.

კვლევის ორივ მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ მცირე ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება, ხოლო სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევების გადასაჭრელად, ეკომიგრანტებს ცენტრალური ხელისუფლებისკენ ამისამართებს.

4.3 მიწის რეგისტრაცია და საკუთრების უფლება ეკომიგრანტებისთვის

მიწის რეგისტრაცია და საკუთრების უფლება ეკომიგრანტთა ეკონომიკური მონაწილეობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს. საკუთრებაში არსებული მიწის სამართლებრივი სტატუსი სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად აქვთ ოჯახებს შესაძლებლობა განახორციელონ სტაბილური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, მიიღონ აგრო-სესხები ან ჩაერთონ სახელმწიფო საგრანტო პროგრამებში.

საკუთრების არქონით ეკომიგრანტები დამოკიდებული რჩებიან სახელმწიფოს დახმარებასა და არაფორმალურ შრომით ურთიერთობებზე. ეკომიგრანტების განსახლების პროცესის თავდაპირველი მიზანი, სტიქიური უბედურებების შედეგად დაკარგული საცხოვრებლისა და საარსებო საშუალებების კომპენსაცია იყო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მიწის რეგისტრაციისა და საკუთრების პრობლემები რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კვლავაც გრძელდება, ეს მიზანი მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად თუ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში ეკომიგრაცია ვერ უზრუნველყოფს იმ ეკონომიკურ სტაბილურობას, რომლის გამოც ოჯახებმა სახლები და ტრადიციული საცხოვრებელი გარემო დატოვეს და ახალ გარემოში გადასახლდნენ. ამდენად, საკუთრების უფლების საკითხი უნდა განიხილებოდეს როგორც ეკომიგრანტთა ეკონომიკური მონაწილეობის საკვანძო წინაპირობა და ამავდროულად, როგორც სოციალური სამართლიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტი.

კვლევაში გამოკითხული ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ **ქალაქი წალკა და მისი მიმდებარე სოფლები** სასოფლო სამეურნეო აქტივობებისთვის ხელსაყრელ ტერიტორიებს წარმოადგენს. ეკონომიკური საქმიანობები, რომლებშიც ისინი არიან ჩართული, მეტწილად სწორედ ადგილობრივი მიწების ნაყოფიერებასა და რეგიონის კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. ისინი მისდევენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მოჰყავთ ბოსტნეული, კარტოფილი და მარცვლოვანი კულტურები. კლიმატური პირობებისა და ნიადაგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილობრივებისთვის ერთ-ერთი წამყვანი კულტურაა კარტოფილი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებს,

გავრცელებულია როგორც ცხვრის, ისე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქტის წარმოება.

რესპონდენტთა მეორე ნაწილისთვის, რეგიონის ბუნებრივი უპირატესობებიდან გამომდინარე ეკონომიკური სიკეთეები ჯერ კიდევ მიუწვდომლად რჩება. მიწა, რომელიც ეკომიგრანტებს გადაეცათ, ნაწილისთვის საცხოვრებელი სახლისგან ძალიან შორს მდებარეობს და ტრანსპორტირების პრობლემიდან და მიწის სიშორიდან გამომდინარე, დამატებითი ტექნიკის გარეშე, ამ მიწების დამუშავებას ფიზიკურად ვერ ახერხებს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ საკუთრებაში არსებული მიწა იმდენად შორს არის, რომ იმ ნაკვეთზე არც არასდროს ყოფილა. აღნიშნული გარემოება ადგილობრივ ეკომიგრანტებში მოტივაციასაც ამცირებს და შედეგად მუნიციპალიტეტში დაუმუშავებელი სავარგულების რაოდენობა მატულობს.

წალკაში მცხოვრები, როგორც აჭარელი, ისე სვანი ეკომიგრანტებისთვის, სავარგულების სიშორესთან ერთად, მიწის ფლობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მწვავე პრობლემაა დაურეგისტრირებელი მიწების დიდი რაოდენობა.

მაშინ როცა, ეკომიგრანტების ნაწილი მათ საკუთრებაში არსებულ მიწას არ ამუშავებს, მეორე ნაწილისთვის იგი შემოსავლის მთავარი წყაროა, ხოლო არიან ისეთებიც, რომელთაც საკუთრებაში არც მიწა აქვთ და არც საცხოვრებელი სახლი:

> *"მიუხედავად იმისა, რომ აქვე მიწები არის და ჩათვალეთ, რომ ჰაერშია გამოკიდული, ვერ ვიყენებთ. ვისაც ენერგია აქვს, ვერ ხარჯავს. ჩემმა მეზობელმა ვითომ განცხადება დაწერა, მერე გაასაჩივრა, მაგრამ ჰაერშია ეგ საქმე, და მიწაც ეგრეა." (კაცი, ეკომიგრანტი სვანეთიდან, 51 წლის, სოფელი ბეშთაშენი).*

კითხვაზე, თუ რა არის წალკაში ეკომიგრანტთა მთავარი გამოწვევა და რა იქნებოდა მათი მთავარი პოლიტიკური სათქმელი, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ რეგიონის პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ მოსაზრებაში არ იგულისხმება მხოლოდ სახელმწიფოს ბალანსზე არსებული ე.წ "ჰაერში გამოკიდებული თავისუფალი მიწების" არსებობა წალკაში, ან გარკვეული მიწების გამოყენების

შეუძლებლობა, არამედ ადამიანური რესურსიც. მაგალითად, აჭარელმა ეკომიგრანტმა რესპონდენტმა, ინტერვიუს პროცესში არაერთხელ აღნიშნა მისი ოჯახისა და მეზობლების შრომისმოყვარეობა, რომლის საქმეში ჩადებაც სურთ:

> *"ჩვენ ვიცით ფასი სახლის დატოვების, და მერე ახალი ცხოვრების დაწყების. ამიტომ გამოცდილი ხალხი ვართ [...] ჩვენი წინაპრები მეწყერის და რთული იმის [გარემო პირობების] გამო ხშირად იცვლიდნენ სახლს, ამიტომ ვიცით ახლიდან დაწყება და კარგად დაწყება" (ქალი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 54 წლის, სოფელი სამადლო).*

წალკაში პირველ ნაკადად ჩასულმა (1989 წლიდან) ეკომიგრანტებმა სახლები ეთნიკური ბერძნებისგან საკუთარი სახსრებით გამოისყიდეს, უფრო გვიანდელი ეკომიგრანტების შემთხვევაში კი უფრო ორგანიზებულად, სახელმწიფოს მხრიდან მოხდა ბერძნებისგან სახლების შესყიდვა და შემდეგ ეკომიგრანტებისთვის მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა. თუმცა, წალკაში მცხოვრები ეკომიგრანტების ნაწილისთვის კვლავ გამოწვევად რჩება საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფა. მათი ნაწილი სახლს ემიგრაციაში მყოფი ბერძნებისგან ქირაობს, ან თვითნებურადაა შესახლებული და მუდმივად გასახლების მოლოდინშია.

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ თუ წარსულში შესაძლებელი იყო მისაღებ ფასად ბერძნებისგან სახლის შეძენა, ახლა ეს „ფასი“ საგრძნობლად გაზრდილია. უძრავი ქონების ფასის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად წალკის ახალი ტურისტული შესაძლებლობები სახელდება:

> *„რამდენ სახლს განახებ იცი ბერძნების ცარიელს?!, მაგრამ იქ ვინღა შეგვიშვებს ჩვენ. გამოსყიდვა რომ ვერ მოხდა, მანდ დავიღუპეთ. ახლა ბერძნები აღარ გაყიდიან, ან თუ გაყიდიან და ძალიან ძვირად.“ (კაცი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 71 წლის, ყოფილი საავადმყოფოს შენობა, ქალაქი წალკა)*

> *„დაშბაში [დაშბაშის კანიონი] რომ აშენდა და კიდევ ბევრი რამე შენდება, ხო ხედავენ ბერძნები და აღარ ყიდიან. ჩამოდიან და პირიქით სახლების გარემონტება დაიწყეს“ (კაცი, ეკომიგრანტი სვანეთიდან, 28 წლის, წალკა).*

წალკაში, წელიწადში ერთხელ, აგვისტოს თვეში ბერძენი მიგრანტების დიდი ნაწილი, რამდენიმე დღით უბრუნდება სახლს მარიამობის დღესასწაულის აღსანიშნავად. 15 აგვისტოდან თვის ბოლომდე, რამდენიმედღიანი ვიზიტის განმავლობაში, ქრისტიანი ბერძნები მათსავე სახლში ქირით მცხოვრებ მუსლიმ ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ.

ქრისტიანებისთვის ამ მნიშვნელოვან დღესასწაულზე, მუსლიმი ოჯახები რამდენიმე დღით „მასპინძლების სტატუსს“ ბერძენ ოჯახებთან ერთად იზიარებენ და როგორც თავად აღწერენ, „ერთდროულად სტუმრებიც ხდებიან და მასპინძლებიც“.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ამბობენ, რომ წალკაში მარიამობისთვის მზადება რამდენიმე დღით ადრე იწყება. ზოგიერთი ოჯახისთვის, რომლებსაც სახლების ბერძენ მეპატრონეებთან კარგი ურთიერთობა აქვთ, ეს პერიოდი სასიამოვნო მოგონებად რჩება: *„ვსაუბრობთ ერთმანეთთან, ბევრს ვუყვებით, საჩუქრები ჩამოაქვთ და ჩვენც შესაბამისად ვხვდებით აქ.“ (ქალი, 69 წლის, წალკა)*

კვლევის სხვა მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მარიამობა და მასთან დაკავშირებული ბერძნების ვიზიტი მათი ოჯახებისთვის დაძაბულობასთან, არასტაბილურობასთან და გასახლების მუდმივ შიშთან ასოცირდება. - *„არასდროს იცი რას მოასწავებს [ბერძნების სტუმრობა]“* (ქალი, 30 წლის, წალკა).

წალკაში მცხოვრები ბერძნები „პონტოს ბერძნები“ არიან, რომლებიც თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან გადმოსახლდნენ. პირველი ნაკადი მე-18 საუკუნეში გაჩნდა,, როდესაც ერეკლე მეორემ ახტალაში მოიწვია ბერძენი მუშები და ხელოსნები. მეორე კი, საქართველოში რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წლების ომის დროს ქრისტიანთა დევნის გამო ჩამოვიდა. წალკაში ცხოვრება სწორედ თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ვილაიეთებიდან წამოსულმა ქრისტიანმა ბერძნებმა გააგრძელეს. საქართველო ბერძნების უმეტესობამ 1992 წლის შემდეგ დატოვა.

წალკის ძველ საავადმყოფოში მცხოვრები ეკომიგრანტები 2013 წლიდან აწარმოებენ მოლაპარაკებებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და უკვე 7 წელზე მეტია ელოდებიან კერძო საკუთრების დაკანონების შესახებ დაპირების შესრულებას.

ქალაქ წალკაში, ყოფილი ტუბერკულოზის სამკურნალო საავადმყოფოს შენობაში, სტიქიური მოვლენების შედეგად აჭარიდან და სვანეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახები 2013 წლიდან თვითნებურად არიან შესახლებული. მათი ნაწილი დროებით ბერძნების სახლებში ცხოვრობდა, ნაწილმა კი წალკაში ჩამოსვლისთანავე საავადმყოფოში შესვლა გადაწყვიტა. უკეთესი საცხოვრებელი პირობების მოლოდინში ბოლო 10 წელში აქ 52 ოჯახი შესახლდა. ყოფილი საავადმყოფოს შენობის ეზოში, რამდენიმე მაცხოვრებელმა გვითხრა, რომ შენობა, რომელსაც ვუყურებთ, ავარიულია და იქ 80 - ზე მეტი ბავშვი სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ცხოვრობს. სველი წერტილების მცირე რაოდენობა, გაზისა, და შენობის რიგ ნაწილებში ელექტრო ენერგიის არარსებობა, ანტისანიტარია, ქალაქის ცენტრისკენ გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობა (არ არსებობს შიდა ტრანსპორტი საავადმყოფოდან ქალაქის ცენტრისკენ, იქ სადაც აფთიაქები და სურსათის მაღაზიებია, ფეხით გადაადგილებისთვის 30 წუთია საჭირო) საავადმყოფოს მაცხოვრებლების მძიმე ყოველდღიურობის ნაწილია. საავადმყოფოს პალატები საცხოვრებელ ოთახებად არის გადაკეთებული, ნაწილმა შეძლო და ფანჯრები გამოცვალა. *„ვინც ემიგრაციაში არიან იმისმა ოჯახებმა ჩასვეს მეტალოები“* - გვეუბნება შენობაში მცხოვრები კაცი, რომელიც შეშას ჭრიდა. შეშა გათბობის მთავარი საშუალებაა, ხოლო შეშის დახარისხება ბავშვებისთვის ერთ-ერთი მთავარი გასართობია.

შენობის მესამე სართულის სიბნელეში, აჭარელი მუსლიმი ქალი გავიცანით, რომელიც ლობიოს არჩევდა. მისთვის ყოფილ საავადმყოფოში ცხოვრებაზე მეტად მძიმე, შენობის მესამე სართულზე ცხოვრებაა:

„ჩემი ეზო რომ არ მაქვს ეგ მკლავს. მე მიჩვეული ვარ ეზოიან სახლს, ახლა ეზოს გარეშე ცხოვრება არის დიდი სასჯელი.,“ (ქალი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 62 წლის, ქალაქი წალკა)

აქ მცხოვრები ოჯახები, როგორც თავად ამბობენ, „დღედღეზე“ ელოდებიან ოთახების საკუთრებაში გადაცემას. მართალია, ეს მოლოდინი 7 წელზე მეტი ხანია გრძელდება, მაგრამ მათთვის სხვაგან წასასვლელი გზა მოჭრილია.

ბოლო წლებში, **წალკა** თანდათან ტურისტებისთვის მიმზიდველ არეალად გადაიქცა, რაც დაშბაშის კანიონის ირგვლივ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებთანაა დაკავშირებული. აღნიშნულმა პროცესმა, ადგილობრივ უძრავი ქონების ბაზარზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. შედეგად, საკუთრების არქონის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან გამოკითხული რესპონდენტების თქმით, უძრავი ქონების გაძვირებული ბაზარი გამორიცხავს ეკომიგრანტებისთვის საკუთრების კანონიერად მიღების შანსს.

წალკელი ეკომიგრანტებისთვის კერძო საკუთრების არქონა პრობლემური მხოლოდ საცხოვრისის კონტექსტშია არ არის. იგი მნიშვნელოვანი შეფერხებაა ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის პროცესშიც, მაგალითად, ისინი ვერ ამუშავებენ მიწებს, ვერ იღებენ კრედიტებს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მიწის საკუთრებაში ფლობის გარეშე დამუშავება რისკის შემცველია.

წალკისგან განსხვავებით, **ადიგენში** საკუთრების საკითხი კრიტიკულ პრობლემად არ აღიქმება. კვლევის მონაწილე რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათი ეკომიგრანტი ოჯახების ნაწილი დეპორტირებული მუსლიმი მესხების სახლებში სახელმწიფომ დროებით შეასახლა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს სახლები გრძელვადიან პერსპექტივაში საცხოვრებლად ვარგისი არ იყო და ამავდროულად, ეკომიგრანტ ოჯახებს

ვერც სულადობრივად აკმაყოფილებდა, სახელმწიფომ სესხის საშუალებით მათ ახალი სახლების აშენების შესაძლებლობა მისცა.

1980-იან წლებში ადიგენის რაიონში ჩასახლებულ ეკომიგრანტებს 0,5ჰა მიწა გადაეცათ, აქედან 0,15 ჰა საკარმიდამო მიწა იყო, ხოლო 0,35- სავარგული. მართალია ახლა ეს სახლები უკვე დანგრეულია, თუმცა ახლად ჩამოსახლებულ ოჯახებს ამ სახლებმა უცხო გარემოში ცხოვრების პირველი წლები ნამდვილად გაუადვილდა.

გამოკითხული რესპონდენტების აზრით, **წალკაში** დაბალი ეკონომიკური მონაწილეობა ძირითადად განპირობებულია საკუთრებისა და ხელშემწყობი პროგრამების არარსებობით, რაც მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებს ზღუდავს. რაც შეეხება **ადიგენს,** იქ იგივე პრობლემა გამოწვეულია ინფრასტრუქტურული სირთულეებით: დაზიანებული გზებით და გადაადგილების შეზღუდვით, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც ადგილობრივების ეკონომიკურ აქტივობაზე, ისე სოციალურ კავშირებზე.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეკომიგრანტთა სოციალური ინტეგრაციის ანალიზი მხოლოდ სოციო-ეკონომიკური განზომილებებით არ შემოიფარგლოს. იქ, სადაც ეკომიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი რელიგიურ უმცირესობას მიეკუთვნება და სახეზეა დაბალი ეკონომიკური მონაწილეობა, იკვეთება დაბალი სოციალური ხილვადობაც, რაც მათ გარიყულობის განცდას ამტკიცებს. ეკონომიკური სიძლიერე ამ ჯგუფისთვის სოციალური აღიარების და თანასწორობის მტკიცებულებაცაა.

4.4 საცხოვრებელი გარემო და სოციალური ინფრასტრუქტურა

განათლების, ჯანდაცვის, სატრანსპორტო, კომუნალურ, თუ სხვა სოციალურ ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე წვდომა ეკომიგრანტებისთვის ყოველდღიური საბაზისო გამოწვევაა. ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე უმეტესად ქალი რესპონდენტები საუბრობენ, ვინაიდან ქალებს ყოველდღიურად უწევთ ამ ტიპის

სირთულეებთან შეჯახება: ზრუნვის ყოველდღიური შრომა მჭიდროდ არის დამოკიდებული სრულფასოვან ინფრასტრუქტურაზე, სახელმწიფო სერვისებზე და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობაზე. ამასთან, მუსლიმი ქალი რესპონდენტები შედარებით ნაკლებად საუბრობენ პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე და უფრო მეტად სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებზე კონცენტრირდებიან.

წალკის სოფლებში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სოფლებში გზების მძიმე მდგომარეობა და შიდა ტრანსპორტის არარსებობა, რაც ართულებს გადაადგილებას როგორც სოფლების შიგნით, ისე მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ქალაქ წალკაში არ არსებობს საფეხმავლო გზები.

როგორც უკვე აღინიშნა, წალკა და მისი მიმდებარე სოფლები ტურისტებისთვის საინტერესო არეალად ფორმირდება - შენდება ახალი სასტუმროები და იქმნება ინფრასტრუქტურა, თუმცა ინტერვიუებში რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ეს ცვლილებები ადგილობრივების ინტერესების გათვალისწინების გარეშე ხორციელდება. ისინი ასევე იშველიებენ ტურისტების უკმაყოფილების მაგალითებსაც. დამატებით, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ არჩევნების წინა პერიოდში აქტიურდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და აქტიურად შედიან დისკუსიებში ადგილობრივებთან, იმართება საჯარო შეხვედრებიც, თუმცა წლიდან-წლამდე კვლავ მოუწესრიგებელი რჩება სოფლებში გზებისა და გაზიფიცირების პრობლემა. როგორც სოფლებში, ისე ქალაქ წალკაში მცხოვრები რესპონდენტები სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სირთულეებზე ამახვილებენ ყურადღებას. ეს ინფრასტრუქტურული პრობლემები ართულებს ყოველდღიურობას და ზღუდავს მათ შრომისუნარიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლებსა და ბაღებს სამარშრუტო ტაქსი ემსახურება, **ქალაქ წალკაში** შიდა ტრანსპორტის არარსებობის პირობებში, რთულია პირადი ავტომობილის გარეშე გადაადგილება. სიტუაციას ამძიმებს ქალაქში საფეხმავლო გზების არ არსებობა და

ავტოსაგზაო შემთხვევათა მაღალი რაოდენობა, რომლებიც ხშირად ფატალურად სრულდება:

> *„ქალაქში რომ იყოს გასართობი აუცილებლად ხშირად წავიდოდით. დავივიწყებდი იმასაც, რომ რთულია გადაადგილება. წალკაში რამდენიმე კაფეა, რესტორანი, მაგრამ მაინც მოსაწყენია ჩემთვის აქაურობა. მარა ალბათ ისევ წალკაში ჯობია ცხოვრება, ვიდრე სოფელში“ (ქალი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 34 წლის, ავრანლო)*

რესპონდენტების თქმით, გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობა და ინფრასტრუქტურის არქონა, პირდაპირ კავშირშია განათლების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევასთან. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართავობის გამო, პრობლემაა როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებზე წვდომა. გასართობი ინფრასტრუქტურის (სკვერები, სტადიონები, ფიტნეს დარბაზები, კვების ობიექტები) არარსებობასთან ერთად, მუნიციპალიტეტში არ ფიქსირდება არც სოციალური ინტეგრაციის ხელშემწყობი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკა.

ადიგენის სოფლებში ეკომიგრანტთა მთავარი საჭიროება საგზაო ინფრასტრუქტურას უკავშირდება. შემოდგომიდან, როცა წვიმების სეზონი იწყება, არათუ სოფლებს შორის, სოფლებს შიგნით, მეზობლებსაც კი უჭირთ ერთმანეთთან სტუმრობა. ერთ-ერთი რესპონდენტი სოფელ კიკიბოდან ამბობს, რომ ადიგენში საფრთხის ქვეშაა ახალაშენებული სახლებიც, რადგან მუნიციპალიტეტში არსებული რთული გეოლოგიური მდგომარეობა (მეწყრები) წლიდან წლამდე ახალ გამოწვევებს ქმნის ადიგენის სოფლებშიც. ეკომიგრანტთა ოჯახების ნაწილი კვლავ იძულებული ხდება ახალი საცხოვრებლის აშენებაზე იზრუნოს, ან საერთოდ შეიცვალოს სოფელი.

4.5 თემთაშორისი თანაცხოვრების პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილებები

ეკომიგრანტთა ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თემთაშორისი ყოველდღიური თანაცხოვრების გამოცდილება. სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თანაცხოვრების გამოცდილებები განსაზღვრავს არა მხოლოდ მათ ყოველდღიურ ურთიერთობებს, არამედ სოციალური კაპიტალის დაგროვებისა და კონფლიქტის პრევენციის შესაძლებლობებსაც. თემთაშორისი თანაცხოვრების პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილებების გაზიარებისას, წალკაში მცხოვრები აჭარელი და სვანი ეკომიგრანტები აღნიშნავენ, რომ რელიგიური დაძაბულობა ხშირად თავსმოხვეულია - იგი ადგილობრივების დონეზე რეალურად არ არსებობს და რელიგიური ან პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის იქმნება.

წალკის რაიონში გამოკითხული ეკომიგრანტების ნაწილი მათი ჩამოსახლების პირველ პერიოდს აღწერს, როგორც „სიახლედ“, „კარგის მოლოდინად“. მეორე ნაწილისთვის, რომელიც უფრო გვიან ჩამოსახლდა, წალკაში ცხოვრება თავდაპირველად საკმაოდ მძიმე გამოცდილება იყო და წლების შემდეგაც კი „თითქოს ისევ სტუმრად ვარ“, - ამბობს რესპონდენტი სვანეთიდან (ქალი, 48 წლის, წალკა).

მიუხედავად საცხოვრებლის ცვლილებისა, ეკომიგრანტების ნაწილი უპატრონოდ არ ტოვებს ძველ ეზოსა და დანგრეულ კარ-მიდამოს. მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ იქ მცხოვრებ მეზობლებთან და რელიგიურ დღესასწაულებზე ოჯახის სასაფლაოებსაც მოინახულებენ ხოლმე. რესპონდენტი სვანეთიდან აღნიშნავს, რომ მისი ოჯახის გარდაცვლილი წევრები უკან, სვანეთში დაკრძალეს:

> *„სოფლის გახსნას ვეძახდით, სოფელი გაიხსნაო ამას ნიშნავდა ქართველები რომ შევიდოდნენ აქ სოფელში და ბერძნები რომ მიდიოდნენ. ვისაც მაშინვე მოგვცეს სახლი და მიწები, ჩვენთვის კარგი იყო, აბა იქ [აჭარა] აღარაფერი გვებადა და აქ კარგი მოლოდინით მოვედით. აი ვინც 2000-იანებში ჩამოვიდა, იმათმა გადაიტანეს რთული ამბები. აქ ძალიან უჭირდათ, გაურკვევლობაში იყვნენ, ზოგიც უკან*

დაბრუნდა. აქ ვერ მოიკიდეს ფეხი კარგად, თან სომხებიც იყვნენ, სვანებიც უკვე, ბერძნებიც ზოგი ბრუნდებოდა და იყო დიდი გაურკვევლობა. ბიძაჩემი უკან წავიდა.“ (კაცი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 31 წელი, ბეშთაშენი)

„ვერ ვეგუებოდით, უცხოები ვიყავით ჩვენ მუსლიმი აჭარლები და ისინი ქრისტიანები. ორივე მთების შვილი ვიყავით [საუბარია სვანებზე]მაგრამ მაინც იყო თავიდან ეგ [გაუცხოება]. ჩვენიანი, შენიანი, ასე ვლაპარაკობდით. ფეხბურთს თამაშობდნენ ბიჭები ეგრე, აი სომხები აჭარლებზე. 2007 ში დიდი ამბავი იყო წალკაში, ცენტრში, აჭარლებმა მოვუგეთ სომხებს და მერე არმატურებით ცემეს აჭარლები. მოვიდა პოლიცია, სპეცრაზმი. ახლა ამაზე გვეცინება რომ ვიხსენებთ, ჩვენ სოფელში ასეა, სხვაგან არ ვიცი რა ხდება. წალკის მიწა ყველას მიიღებს და ყველაფერს. კარგია აქ ყოფნა„ (კაცი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 30 წლის, ახალშენი)

თავდაპირველ დაძაბულობას, რომელიც რელიგიური განსხვავებულობით, ან/და ენის ბარიერით იყო განპირობებული, ემატებოდა ისედაც მცირე რესურსებისთვის კონკურენცია, რომელიც ეკომიგრანტებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამების შეზღუდული რაოდენობის პირობებში, უფრო მწვავდებოდა:

„რაღაც რომ მიჭირს და ფეხზე დადგომა მინდა, ხოა სახელმწიფო მაგისთვის რომ ხელი შეგვიწყოს. მე ეგრე მესმის. სულ ჩვენით ვწვალობთ აქ ჩამოსვლის დღიდან. მე არ ვწუწუნებ, იმასაც გავუსწარი ვინც ჩემამდე ჩამოვიდა შეიძლება, მარა სხვას რომ ეგ არ გამოუვიდა და დღემდე უჭირს? „ (კაცი, ეკომიგრანტი სვანეთიდან, 78 წლის, სამადლო)

რესპონდენტები ვერ იხსენებენ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ კულტურულ, სპორტულ ან სხვა ინტეგრაციის მხარდამჭერ პროგრამებს. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის არარსებობასთან ერთად, ადგილობრივებთან ინტეგრაციაც მხოლოდ ადამიანებისა და ოჯახების ინდივიდუალური ძალისხმევის შედეგად მოხდა:

„თუ რამეა, ყავაზე, ქორწილში, გასვენებაში მივდივართ, ეს ჩვეულებრივი რამეა დღეს აქ და არავის უკვირს. [...] შერეული ქორწინება რამდენიც გინდა. რამე ჩხუბი იქნება, რამდენჯერმე პოლიცია მოვიდა, მახსოვს მეც ეგეთი დიდი ჩხუბები, მაგრამ ეგ რელიგიის გამო არ ყოფილა, ადამიანების წესია, ზოგი ისეთია ზოგი ასეთი.“ (ქალი, ეკომიგრანტი სვანეთიდან, 46 წლის, ქ. წალკა)

„მე როგორც ვიცი ცოტა კონფლიქტური სოფელი ახალშენია. [...] ანუ რთული ხასიათების ხალხი ცხოვრობს წალკაში, აჭარლებიცა და სვანებიც. რაღაცეები მოხდა არწივანის სკოლაშიც , თუ იცით, ეგ აგერ მე ქრისტიანი ვარ და მეც დავგმე, რომ არ შეიძლება ეგეთი რამე. რომ წარმოვიდგინო ჩემს შვილს, რომელიც ხო ქრისტიანია და მუსლიმანური რამე რომ ასწავლონ, არაფერი განა რამე, მაგრამ აგიტაცია არ უნდა იყოს. აჭარლებს გავუგე მაშინვე და ვთქვი ყველასთან“. (ქალი, ეკომიგრანტი სვანეთიდან, 45 წლის, ბეშთაშენი)

კვლევაში მონაწილეობდა ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორი და ამავე სკოლის მასწავლებელი. მათი დაკვირვებით, ახალ თაობებში - კლასებში, სადაც სწავლობენ მუსლიმი და ქრისტიანი მოსწავლეები, არ შეინიშნება დაძაბულობა რელიგიური თუ სხვა კუთვნილების გამო. მიუხედავად ზემოთ აღწერილი პოზიტიური დაკვირვებებისა, სკოლის ქრისტიანი მასწავლებლის „ხუმრობას“ იხსენებს:

„განა რამე, ასე ვითომ ხუმრობით გეტყვის, რომ „მუსულმანი ხარ“ ასე წინადადების ბოლოს გეტყვის, რაღაცას ჯუჯღუნებს და მერე ამბობს ვხუმრობო.“(ქალი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 30 წლის, ქალაქი წალკა).

ქალაქ **წალკაში** და რაიონის სოფლებში ადამიანთა ჯგუფებთან გამოლაპარაკებამ რამდენიმე საინტერესო დაკვირვების შესაძლებლობა მოგვცა. პირველ რიგში, აჭარელი მუსლიმებისა და სვანების, ასევე სხვა ადგილობრივი ჯგუფების წარმომადგენლები საერთო სოციალურ/სამეზობლო და ეკონომიკურ საქმიანობებში არიან ჩართული. აქტიურად მსჯელობენ საერთო გამოწვევებსა და საქმეებზე. ისეთ პატარა დასახლებებში, სადაც „ყველა ყველას იცნობს“, რესპონდენტების თქმით, დაძაბულობის ფაქტები,

რელიგიური ან სხვა ნიშნით, ერთმანეთში ან პოლიციასთან, თითქმის არ გამოდის დღის სინათლეზე. ეს მდგომარეობა, კვლევის ერთ-ერთი მონაწილის შეფასებით, პრობლემის არარსებობაზე მეტად, პრობლემის ირგვლივ „დუმილს“ ნიშნავს. კვლევის მონაწილე სხვა აჭარელი მუსლიმი რესპონდენტებიც მსგავს შეგრძნებებს გვიზიარებენ და ამბობენ, რომ ხშირად, მცირე „მარცვლის გადმოგდებაც“ კი საკმარისია, რომ დუმილი დაირღვეს. ხედავენ თუ არა კონკრეტულ აქტორებს, ვისაც ძალუძს ამ მარცვლის გაღვივება, პასუხი არ აქვთ, თუმცა, არწივანის საჯარო სკოლაში მომხდარის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, შიშით შესცქერიან:[2]

> *„საჯარო სკოლაში რომ ამბავი მოხდა, მე ვარ გაწევრიანებული წალკის ჯგუფში ფეისბუქზე, იქ რვა ათასი ადამიანია იმ ჯგუფში და როგორც კი ეს ამბავი გავრცელდა, რომ ჩვენ მუსლიმებმა პროტესტი გამოვთქვით ჯვრების გაკვრაზე სკოლაში, დაიწყეს მთლიანად წალკაში მცხოვრებ მუსლიმებზე საშინელი კომენტარების წერა. ისეთი ხალხი წერდა კომენტარებს, რომ აი, მეზობლები რომ არიან, კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ყოველდღე ერთად ვართ. [...] ასე გვეუბნებოდნენ, რომ იმ სახლებში სადაც ცხოვრობთ, ბერძნებს უკვე აქვთ ნაკურთხი და მაშინ, აბა თუ მაგრები ხართ, გამოდით მაგ სახლებიდანო. თურმე როგორი ცუდი რამ ჰქონიათ გულში. ეს იყო პატარა მარცვალი, რომელმაც ამხელა აგრესია გამოაჩინა.“ (ქალი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 30 წლის, წალკა).*

წალკაში რესპონდენტების მხრიდან თემთაშორისი თანაცხოვრება ფასდება როგორც „მშვიდი“ და „მეზობლური“. ოჯახებს შორის ქორწინების ფაქტები ფიქსირდება, ყოველდღიური თანაცხოვრება სამუშაო ადგილებში, სკოლებსა, თუ სამეზობლოებში - ჰარმონიულია, მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც რესპონდენტთა შეფასებით არსებული „დუმილი“ ირღვევა და ფარული დაძაბულობები ღიად ვლინდება. თუმცა,

[2] სოციალური სამართლიანობის ცენტრი.(2024, თებერვალი 29). *წალკის საჯარო სკოლაში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის ფაქტი სახელმწიფოსგან პოზიტიური ზომების მიღებას საჭიროებს.* https://socialjustice.org.ge/ka/products/tsalkis-sajaro-skolashi-religiuri-neitralitetis-printsipis-darghvevis-fakti-sakhelmtsifosgan-pozitiuri-zomebis-mighebas-sachiroebs

სოციალურ ქსელებში გავრცელებული კომენტარები ხშირად უფრო მწვავე და აგრესიულია, ვიდრე პირად ურთიერთობებში არსებული პრაქტიკა.

კვლევის მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, რელიგიური განსხვავებები, ენობრივი ბარიერები და რესურსებზე შეზღუდული წვდომა ხშირად იქცევა კონფლიქტის ნიადაგად, მაგრამ ამ საკითხებს უფრო ხშირად ძალაუფლების მქონე ჯგუფები და პოლიტიკური ან რელიგიური ლიდერები იყენებენ საკუთარი ლეგიტიმაციის გასაძლიერებლად, ვიდრე თავად ერთ ქალაქში ან ერთ სოფელში მცხოვრები ეკომიგრანტები.

ადიგენში თემთაშორის თანაცხოვრებას ადგილობრივები ახასიათებენ, როგორც მშვიდობიანს, თუმცა თავადაც აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში გაზრდილია კონფლიქტების რიცხვი. მუსლიმი რესპონდენტების შეფასებით, აღნიშნული დაკავშირებულია კონკრეტულ მართლმადიდებელ მღვდელთან, მუნიციპალიტეტის მიკერძოებულ პოზიციებთან და ზოგადად, მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ ფონთან. ასევე, გამოკითხული მუსლიმი რესპონდენტების თქმით, მათ მუდმივად უწევთ მტკიცება, რომ „ქართველები არიან და არა თურქები“.

კვლევის რესპონდენტი მუსლიმი ქართველები აღნიშნავენ, რომ ადიგენში ქართველი მუსლიმი თემის უფლებების შეზღუდვის შემთხვევები, რელიგიური და პოლიტიკური პირების მიერ მართული პროცესის ნაწილია. რომ არა ეს გარემოება, მათი თქმით, აჭარიდან გადმოსახლებული მუსლიმები და რაჭიდან ჩამოსახლებული მართლმადიდებლები რეგიონში სხვა მხრივ უკონფლიქტოდ ცხოვრობენ. რესპონდენტების განმარტებით, ადგილობრივი კონფლიქტები არ წარმოიშობა მხოლოდ სოციალური ან კულტურული განსხვავებების ნიადაგზე, არამედ მათი ხელოვნური გაღრმავება ემსახურება ქრისტიანული თემის, როგორც დომინანტური ძალის, წარმოჩენას. მათი შეფასებით, ამგვარი პროცესები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ეკონომიკურ ინტერესებთანაც. რესპონდენტთა ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ,რომ მუსლიმი აჭარლების უფლებების შეზღუდვა არ აღიქმება მხოლოდ როგორც ლოკალური ან სპონტანური გაუგებრობა განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის. ამ დაპირისპირებების „მართული პროცესების

ნაწილად“ ინტერპრეტირება გულისხმობს რელიგიური ინსტიტუციების ჩარევის შესაძლო ფაქტებს. მოტივად რესპონდენტები რეგიონში ქრისტიანობის გაძლიერების საფარქვეშ მუსლიმი თემის შევიწროებას მიიჩნევენ, რაც სინამდვილეში, მათი აღქმით, ქრისტიანობის გაძლიერებასთან არაა კავშირში და უფრო კონკრეტული რელიგიური პირების ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება ადიგენის მუნიციპალიტეტში. ამასთანავე, ამ მოვლენების „მართულ პროცესად“ დახასიათება, ადმინისტრაციული, თუ პოლიტიკური თანამდებობის პირების „სიჩუმეზე“ მიანიშნებს:

> *„როცა ჩუმად ხარ, ხარ მონაწილე ამ პროცესების. ჩვენი ძალიან ცოტანი ვართ, პოლიტიკოსებს კიდე უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდებათ.“ (კაცი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან)*

სოფელ მოხეში ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ადიგენიდან წალკაში ბევრი ადამიანი გადადის საცხოვრებლად. მიზეზად ასახელებენ მესაქონლეობის და მიწათმოქმედებისთვის არსებულ უფრო ფართო შესაძლებლობებს. ამასთანავე, აჭარელი მუსლიმებისთვის წალკა რელიგიური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით, ის ადგილია, სადაც ადგილობრივებთან თანაცხოვრება და ინტეგრაცია წინააღმდეგობრივი არ იქნება. წალკაში მათი ნათესავები, ოჯახის წევრები და მეზობლები უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ცხოვრობენ:

> *„მე ასე ვფიქრობ და აგერ სხვებიც იტყვიან ალბათ, რომ ჩვენში ადრე არც ხელისუფლებასთან და არც ერთმანეთში არანაირი პრობლემა არ გვქონდა. ახლა დროდადრო ვერ ვთანხმდებით, იმიტომ რომ გვიჭირს წყალი, გვიჭირს დენი ცივ ამინდში და გზა - კი აგერ თქვენც ამოხვედით. ჩვენ დიდი ხანია ერთად ვცხოვრობთ, სკოლა ერთი დავამთავრეთ, მოხეში ერთად ვიხდიდით ქორწილებს. ბევრი რამე, აღარ ჩამოვთვლი. ჩვენ სამაგისო არაფერი გვჭირდა რაც მოხდა, სამარცხვინო ამბები. ამიტომ მე ასე მგონია რომ ეგ ყველაფერი შეფიცხინებულია ვინმესი.“ (ქალი, ეკომიგრანტი რაჭიდან, 59 წლის, ჭელა)*

კვლევის რესპონდენტები თავადვე იწყებენ საუბარს იმ დაძაბულობაზე, რაც ადიგენის რაიონში აჭარიდან მიგრირებულ ქართველ მუსლიმებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მოხდა. აჭარელი ეკომიგრანტებისგან განსხვავებით, რაჭველი მოსახლეობა თავს

არიდებს დეტალებზე საუბარს. ერთ-ერთი ჩვენი რესპონდენტი მისი სახლიდან ხელს მეჩეთის მიმართულებით იშვერს და აღნიშნავს, რომ მისთვის, როგორც ქრისტიანისთვის, მეჩეთი, რომელსაც ყოველდღე უყურებს მხოლოდ პატივისცემას იწვევს:

„ყავის სმა იქნება, თუ გასაჭირი, ჩვენ ერთმანეთს ვეძახით. აგერ, ჩემი აჭარელი მეზობელი მთაში რომ მიდის რამდენიმე თვე საქონელთან ერთად, სახლს ყოველთვის მე მიტოვებს. მე ვუვლი მის კარ-მიდამოს.“ (ქალი, ეკომიგრანტი რაჭიდან, 65 წლის, კიკიბო)

სოფელ მოხეში, რომელიც ფაქტობრივად რაიონის ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციას ითავსებს, სხვადასხვა სოფლებიდან ყოველ საღამოს აჭარელი და რაჭველი ეკომიგრანტი ოჯახების მამაკაცები იკრიბებიან. ერთ-ერთ ასეთ საღამოს შეკრებაზე რამდენიმე აჭარელმა აღნიშნა, რომ შუამთის დღესასწაულზე ჩანს ყველაზე კარგად ადიგენელების თანაცხოვრების ჰარმონიულობა:

„იმიტომ რომ იქ მეტიწილი გლეხები ვიკრიბებით. ადიგენში ბოლოს რაც მოხდა, მაგას გლეხი ვერ შეძლებს. გლეხის წონას საკმაოდ ცდება ეგეთი ალიაქოთის ატეხვა.“ (კაცი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 40 წლის, მოხე)

რესპონდენტი ადიგენის ერთ-ერთი სოფლიდან ფიქრობს, რომ ადიგენში აჭარელ მუსლიმებსა და ადგილობრივებს შორის დაძაბულობა მართული პროცესია და მის მიღმა რელიგიური პირები დგანან. ზარზმის მონასტრის წინამძღვრის, ნიკოლოზ გეწაძის სახელი ფიგურირებს, როგორც ადიგენში, ისე წალკაში მცხოვრებ აჭარელ მუსლიმებში:

„ბერ ნიკოლოზს [ნიკოლოზ გეწაძე] ჰგონია, რომ აქ რაჭველ ხალხს აჭარლები ჩაგრავენ. ასე ამბობს თურმე, რომ ჩვენი ხალხი უმცირესობაშიაო. ჩვენ რახან ეკონომიკურად ფეხზე ვდგავართ, ფიქრობს რომ ქრისტიანები უმცირესობაში არიან. მე ზუსტად ვიცი, რასაც ვამბობ, ჭორაობის დონეზე არ ვლაპარაკობ.“

(ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან)

„ადიგენში მე ქართველს, ქართველობა მიჭირს და მტკიცება მიწევს, რომ ქართველი ვარ. მემედ აბაშიძის, ხიმშიაშვილს შთამომავალს ქართველობას მამტკიცებინებენ.

ჩემი რელიგიის გამო თურქთან მაიგივებენ. ეს ძალიან მტკივნეულია. ის რაც მოხდა მოხეში, ქვაბიჯვარში, ადიგენში, არის ერთეული შემთხვევები და მე ამ ტკივილს ყოველდღე მაგრძნობინებენ.“ (ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან)

„ადიგენში რომ მოხდა, მაგან ძალიან დაგვაშორიშორა. ახლა მოხეში რომ ვიყავით, რა თქმა უნდა, პირზე კოცნით ჩვენ ვესალმებით, რას ამბობ, მაგრამ ვალერისთან [სახელი შეცვლილია] ოჯახში მე დიდი მისვლა მოსვლა მქონდა, ახლა გაციებულია ეს ყველაფერი. დაშორება გამოიწვია. მე ვიცი იმისი აზრი, იმან ჩემი. მე მწყინს, რომ შენი მამაო, რომ მოდის და გეუბნება აჭარელზე ცუდს, ხო შეიძლება უთხრა, რომ რას ქვია აჭარელზე ცუდს მეუბნები? მე მიცხოვრია აგერ 10 წელზე მეტია აჭარელთან. ჩემი ძმაკაცია, მეზობელია, მე კარგად ვიცი როგორია. არაფერს ასეთს არ ეუბნებიან. არ ეწინააღმდეგებიან.“ (ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან)

რესპონდენტი სოფელ დერცელში იხსენებს, რომ სამონასტრო კომპლექსის აშენებას აჭარელ მუსლიმ თემში პროტესტი არ მოჰყოლია:

„ჩვენ რატოლა არ გვაქვს მაგის უფლება, რომ თუნდაც მინარეთი დავდგათ. ეგ საკითხი კიდე ძალიან საეჭვოა, მე არ მჯერა ამხელა საბაჟო, ამხელა გზა რანაირად გამოიარა მინარეთმა. მგონია რომ ეგეც მართული იყო. მაგრამ იმას რას ვუპასუხებთ, რომ დერცელში ჩემს მეზობლად ჰქონდათ დაკანონებული მიწები მაგრამ აართვეს, საბუთები გაქრა.“ (ქალი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 41 წლის, დერცელი)

კვლევის ინტერვიუებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ ამგვარ მოვლენათა განმაპირობებელი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი ზარზმის მონასტრის წინამძღოლთან ერთად, ადგილობრივი მუფთი და მუნიციპალიტეტია (კონკრეტული ფაქტების დასახელებისგან რესპონდენტები თავს იკავებენ). მათი აზრით, მიზანი მუსლიმი ქართველების შევიწროვებაა. მიუხედავად იმისა, რომ გამოთქმულ მოსაზრებებში რესპონდენტები ინტეგრაციისა და თემთაშორისი დაახლოების სახელმწიფო პროგრამების საჭიროებას ვერ ხედავენ, აღნიშნავენ რომ დღეს გაბზარულ ურთიერთობებს გამთელება სჭირდება.

სოფლებში მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის მკვეთრი მატერიალური და ეკონომიკური განსხვავებები არ არსებობს, თუმცა აჭარელი ეკომიგრანტები ფიქრობენ, რომ რელიგიური შუღლის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ ადიგენის აჭარელი მუსლიმი თემი ეკონომიკურად მეტად შეძლებულია, ვიდრე ქრისტიანები:

> *„ეს არ არის კერძო ამბავი ან მხოლოდ ბერი ნიკოლოზის [ნიკოლოზ გეწაძე] ამბავი. უფრო სისტემური პრობლემაა. უბრალოდ ამჯერად ნიკოლოზი გამოგზავნეს და ის აკონტროლებს აქაურ სიტუაციას. ჩვენი ეშინიათ რომ ყოჩაღად ვართ, ფეხზე ვდგავართ. ჩემი შრომით ვშრომობ და ვაშენებ, ვიღაცეები კი ისევ იქ ცხოვრობენ სადაც გაასახლეს წლების წინ. ალბათ ეს არ მოსწონთ. არ მოსწონთ ის, რომ ჩვენ ღირებულებებით ტოლერანტობას ვუჭერთ მხარს და მივესალმებით მრავალფეროვნებას.“ (კაცი, ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, კიკიბო)*

ადიგენის მუნიციპალიტეტში აჭარელი მუსლიმი ეკომიგრანტებისა და რაჭველი მართლმადიდებელი ეკომიგრანტების თემთაშორისი ურთიერთობები კომპლექსურია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად თანაცხოვრება, მათი შეფასებით, მშვიდობიანია, ბოლო წლებში გაზრდილია რელიგიური იდენტობით განპირობებული დაძაბულობის ფაქტები. რესპონდენტების შეფასებით, დაძაბულობის ფაქტები არ წარმოადგენს სპონტანურ შემთხვევებს. ინტერვიუებმა გამოკვეთა ზარზმის მონასტრის წინამძღვრის, ნიკოლოზ გეწაძის როლი, რომელსაც რესპონდენტები კონფლიქტის მთავარ იდეოლოგად მიიჩნევენ.

5. დასკვნა

როგორც ადიგენში, ისე წალკაში, ეკომიგრანტის ოფიციალური იურიდიული სტატუსის არქონა, ხელს უშლის ადგილობრივი ეკომიგრანტების სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ისინი ვერ სარგებლობენ შესაბამისი მიზნობრივი დახმარებით, საგადასახადო შეღავათებით და არ აქვთ წვდომა სპეციალურ სახელმწიფო პროგრამებზე. სტატუსის არარსებობა იწვევს საკუთრების უფლების დარღვევას. ფერხდება სოფლის მეურნეობის სუბსიდიებზე, აგროკრედიტებზე ან სოციალურ შეღავათებზე წვდომა, არ მონაწილეობენ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში. იურიდიული სტატუსის არარსებობა აფერხებს სამოქალაქო ჩართულობას, იზრდება სტიგმა და ეკომიგრანტები სხვა თემთა მიერ „სტუმრად“ აღიქმებიან.

წალკის მაგალითმა აჩვენა, რომ ეკომიგრანტის სტატუსის არქონა და მიწებისა და საცხოვრებელი რესურსების არათანაბარი განაწილება, ხელს უშლის ეკომიგრანტთა მდგრად სოციო-ეკონომიკურ განვითარებას; ადიგენსა და წალკაში, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის პრობლემები, მათ შორის, ინფორმირებულობის ნაკლებობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობითი პრაქტიკების სიმცირე და ფორმალურობა გამოვლინდა:

> *„აგერ მოხეში ვსხედვართ ყველა ბირჟაზე, ეგ არის ჩვენი ჩართვა და მოდის ხოლმე საკრებულოს კაცი, გვისმენს, მერე გაიცინებენ, გვეტყვიან რომ არ გვაქვს მაგდენი ფინანსები. სხვა საჯარო განხილვებზეც ვყოფილვარ. კარგია ეგეთი საუბრები რაღაცეებზე შევჯერებულვართ, მაგრამ დიდად არაფერი გამეგება მაგის, ეგეც შემთხვევით გავიგე, რომ ჩავიარე სახლისკენ.“ (კაცი, 39 წლის, მოხე)*

აჭარელი ეკომიგრანტებისთვის, რელიგიური შუღლის გაჩენასთან დაკავშირებული ეჭვები, ადიგენის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მუსლიმი თემის წევრებისთვის საკუთრების უფლების სხვადასხვა ფორმით შეზღუდვის პრაქტიკებითაც დასტურდება. რესპონდენტები

ჰყვებიან მათი მეზობლების და ახლობლების (სოფელი დერცელიდან) ისტორიებს, რომლებსაც მიწის ნაკვეთები ჩამოართვეს ან ყადაღა დაადეს.

სოციალური გარიყულობის მკაფიო მაგალითია რეგიონის მუსლიმ თემში გავრცელებული განცდა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი ინტერესები უგულებელყოფილია. მინარეთის მოჭრის, მეჩეთის დემონტაჟის თუ სხვა შემთხვევები, მუსლიმ თემის უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუარესებაზე მეტყველებს.

წალკაში, ისევე როგორც ადიგენის სოფლებში, მოუწესრიგებელია პირველადი ინფრასტრუქტურა და სერვისები: გზები, სასმელი წყალი, ჯანდაცვა. ეკონომიკური არასტაბილურობის მთავარ წყაროდ კვლავ მიწის რესურსების არასწორი მართვა და საძოვრების უსამართლო განაწილება სახელდება. ეკომიგრანტების ნაწილი შესახლებულია მიტოვებულ სახლებში, რომელთა მესაკუთრეობის საკითხი კვლავაც დაუდგენელია.

ეკომიგრანტები ადიგენიდან და წალკიდან მეტ-ნაკლებად კარგად იცნობენ რეგიონში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებს და სახელმწიფო სოციალური პროგრამების გააქტიურების მოლოდინში არიან. საერთო სოციალურ გამოწვევებზე მსჯელობის პრაქტიკებთან ერთად, კვლევის მთავარი მიგნებაა ისიც, რომ წალკაში მცხოვრები აჭარელი მუსლიმები ადიგენში მცხოვრებ აჭარლებს მხარს უჭერენ და მათ გამოწვევებზე აქტიურად საუბრობენ სხვადასხვა თემში:

> *„ადიგენში, წალკისგან განსხვავებით, შავი მანქანა მუშაობს. ვიღაცამ ტყეს დაადგა თვალი, ვიღაცამ მიწას...“ (კაცი,ეკომიგრანტი მაღალმთიანი აჭარიდან, 40 წელი, ბეშთაშენი, წალკა)*

რესურსების სიმცირესთან და რელიგიური შუღლის გაღვივებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს არაეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება და ინტეგრაციის და თანასწორობის პროგრამების არარსებობა ხელს უშლის მოსახლეობის მშვიდობიან თანაცხოვრებას.

კონფლიქტის მოგვარებაზე საუბრისას, რესპონდენტები არც კი ასახელებენ სახელმწიფოს, როგორც აქტორს, რომელმაც კონფლიქტი უნდა გადაწყვიტოს. მათი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობა მხოლოდ პოლიციის მობილიზებით შემოიფარგლება.

კვლევის მიგნებები ადიგენისა და წალკის მუნიციპალიტეტებიდან ცხადყოფს, რომ ეკომიგრანტთა ინტეგრაცია საქართველოში სამივე თეორიული განზომილების - სამართლებრივ/პოლიტიკურ, სოციო ეკონომიკურ და კულტურულ - ჭრილში ხარვეზიანია, რაც ფენინქსის Penninx-ის (2004) თეორიული ჩარჩოს თანახმად ინტეგრაციის დაბალ ხარისხზე მიუთითებს.

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი და მიგნებები ხაზს უსვამს, რომ ეკომიგრანტების ინტეგრაციის პოლიტიკა საქართველოში სუსტია ფენინქს-ის მიერ შემოთავაზებული ყველა ძირითადი ინდიკატორით. სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები ინსტიტუციურად დაუცველნი არიან, მათ რიგ შემთხვევებში არ აქვთ სამართლებრივი სტატუსი, შეზღუდული აქვთ რესურსებზე წვდომა და კულტურულად გარიყული არიან.

სიღარიბე, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა, სუსტი სოციალური ინფრასტრუქტურა, არაეფექტური თვითმმართველობები ეკომიგრანტი თემის საერთო გამოწვევაა როგორც ადიგენში ისე წალკაში. ეს გამოწვევები განსაკუთრებით მძაფრდება მუსლიმი თემის ყოველდღიურობაში, რომელთაც უსაფრთხო, ინკლუზიური და თანასწორი სოციალური გარემო ესაჭიროებათ.

დაბოლოს, ეკომიგრაცია არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი ან სოციო-ეკონომიკური საკითხი, ის პოლიტიკური კვლევის და მსჯელობის საგნადაც უნდა განიხილებოდეს და საჭიროებს სისტემურ, ინტერდისციპლინურ და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვას.

6. გამოყენებული ლიტერატურა:

1. UNAG. (2013). *აზერბაიჯანული და ბერძნული მოსახლეობა საქართველოში.* თბილისი: საქართველოს გაეროს ასოციაცია.
2. სანიკიძე, თ., & ალადაშვილი, თ. (2020). *კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი, დაბალემისიებიანი (კლიმატგონივრული) სოფლის მეურნეობა: მეთოდოლოგიური გზამკვლევი.* UNDP. https://elibrary.mepa.gov.ge/Ge/Library/Details/7076
3. სამინისტრო, ლ. დ. (2013). *მინისტრის ბრძანება #779.* საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. თბილისი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. http://mra.gov.ge/res/docs/2015031611574950546.pdf
4. სამინისტრო, ლ. დ. (2015). *სამინისტროს 2015 წლის ანგარიში.* თბილისი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.
5. საქართველოს სახალხო დამცველი. (2023). *ანგარიში: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* https://ombuds-man.ge/res/docs/2024052311354297279.pdf
6. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2022, ივლისი 12). *სოციალური სამართლიანობის ცენტრი ადიგენში მუსლიმი თემის საკუთრების უფლების შეზღუდვის ტენდენციაზე მიუთითებს.* https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsi-aluri-samartlianobis-tsentri-adigenshi-muslimi-temis-sakutrebis-uflebis-shezghudvis-ten-dentsiaze-miutitebs
7. ტრიერი, ტ., & ტურაშვილი, მ. (2007). *ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006.* თბილისი: უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI).
8. ფუტკარაძე, თ. (2006). *აჭარის მოსახლეობის მიგრაციისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები.* ბათუმი: ბათუმის უნივერსიტეტი.

9. ჩიხლაძე, ნ., (2023, ნოემბერი 13). სასამართლო ეკომიგრანტების უფლებებისთის. *კომენტარი.* https://komentari.ge/article/sasamarthlo-ekomigrantebis-uphlebebisthvis/
10. Bennett, K., Bilak, A., Bullock, N., Cakaj, L., Clarey, M., Desai, B., & Monaghan, L. (2017). *Global Report on Internal Displacement*. Geneva: Internal Displacement Monitoring Centre. http://www.internaldisplacement.org/library/publications/2017/2017-global-report-on-internal-displacement
11. Berry, J. W. (1997). Immigration, acculturation, and adaptation. *Applied Psychology*, 46(1), 5–68. https://doi.org/10.1111/j.1464-0597.1997.tb01087.x
12. Bilak, A., Cordona-Fox, G., Ginnetti, J., Rushing, E. J., Scherer, I., Swain, M., & Yonetani, M. (2016). *Global Report on Internal Displacement*. Geneva: Internal Displacement Monitoring Centre. http://www.internaldisplacement.org/library/publications/2016/2016-global-report-on-internal-displacement-grid-2016/
13. CENN. (2013). *Eco-migration in Armenia - Trends, dynamics, and challenges*. Yerevan: Caucasus Environmental NGO Network.
14. Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC). (1990). *Climate Change: The IPCC First Assessment Report (FAR)*. https://www.ipcc.ch/site/assets/uploads/2020/02/ipcc_90_92_assessments_far_full_report.pdf
15. Government of Georgia. (2021). *Georgia's 2030 Climate Change Strategy (Mitigation)*. https://mepa.gov.ge/En/Files/ViewFile/50123
16. Lee, E. S. (1966). Theory of migration. *Demography*, 3(1), 47–57. https://doi.org/10.2307/2060063
17. Malewska-Peyre, H., & Camilleri, C. (1997). Socialization and identity strategies. In J. W. Berry, P. R. Dasen, & T. Saraswathi (Eds.), *Handbook of cross-cultural psychology: Basic processes and human development* (2nd ed., Vol. 2, pp. 42–65). Allyn & Bacon.
18. McAuliffe, M., & Triandafyllidou, A. (2022). *World Migration Report 2022*. Geneva: International Organization for Migration (IOM). https://digitallibrary.un.org/record/3951157/files/WMR-2022-EN.pdf
19. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2021). *Fourth National Communication of Georgia under the United Nations Framework Convention on Climate*

Change. https://geo.org.ge/wp-content/uploads/2021/06/undp_ge_env_fourth-national-communication-to-unfccc_2021_eng-compressed.pdf?utm_source=chatgpt.com

20. Myers, N. (2001). Environmental refugees: A growing phenomenon of the 21st century. *The Royal Society*, 357(1420), 609–613. https://doi.org/10.1098/rstb.2001.0953
21. Manvelidze, I., Zoidze, I., & Lazba, N. (2024). ეკომიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში. *პოლიტიკა და საზოგადოება, (1).* https://psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/428
22. Penninx, R. (2004). *Integration processes of migrants in the European Union and policies relating to integration*. Istanbul: Conference on Population Challenges, International Migration and Reproductive Health. https://www.esiweb.org/pdf/turkeynetherlands/RinnusPenninx.pdf
23. Schierup, C.-U., Krifors, K., & Slavnic, Z. (2015). Social exclusion: Migration and social vulnerability. In M. Dahlstedt & A. Neergaard (Eds.), *International Migration and Ethnic Relations* (pp. 200-226). Routledge.
24. Tevzadze, R. (2021). *Reducing the risk of climate-driven disasters: Informational publication*. https://elibrary.mepa.gov.ge/Ge/Library/Details/7062